აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№22 (25.046) სამშაბათი, 28 თებერვალი - 1 მარტი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, შიდამთიან რაიონებში - 8-13, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 766 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, 2 მარტს კი მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის სხდომა გაიმართა. მთავრობის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტებს მიეცათ უფლება, განახორციელონ მათ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული იმ შენობა-ნაგებობების შეკეთების, რეკონსტრუქციისა თუ დემონტაჟის აუცილებელი სამუშაოები, რომლებიც ამახინჯებენ მუნიციპალიტეტის იერსახეს ან პრობლემას ქმნიან უსაფრთხოების კუთხით. ამ მიმართულებით აუცილებელ სამუშაოებს მუნიციპალიტეტები წელსვე დაიწყებენ.

* * *

გუშინ პარლამენტში „თავდაცვის კოდექსის“ საკომიტეტო მოსმენა დაიწყო. „თავდაცვის კოდექსი“ მთელ რიგ სიახლეს ითვალისწინებს, მათ შორის იმას, რომ სასულიერო პირი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების უფლებით ვეღარ ისარგებლებს - სასულიერო პირი არასამხედრო ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევას დაექვემდებარება. „თავდაცვის კოდექსის“ პროექტის მიხედვით, 2024 წლის 1-ელი იანვრიდან მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვა, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში და სარეზერვო სამხედრო სამსახურში გაწვევა თავდაცვის სამინისტრომ უნდა განახორციელოს.

* * *

საქართველოს მთავრობამ 2023 წლის 24 თებერვალს გამოცემული № 81 დადგენილებით შესწორება შეიტანა 2015 წლის 5 ივნისის № 255 დადგენილებაში. კერძოდ, დააკორექტირა ნორმა, რომელიც უკრაინის მოქალაქეებს საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და სრული ერთი წლის ვადით ყოფნის უფლებას აძლევდა. ცვლილებების თანახმად, რომელიც გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა, უკრაინის მოქალაქეებს საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და სრული ორი წლის ვადით ყოფნის უფლება აქვთ.

* * *

64 მედიაორგანიზაცია უარს ამბობს „უცხოური გავლენის აგენტად“ რეგისტრაციაზე და აცხადებს, რომ ეს მათ პროფესიულ ღირსებას შეურაცხყოფს. „ამ კანონის მიღება აზიანებს ევროკავშირში გაწევრების პროცესს, რაზეც 24 თებერვლის განცხადებით ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენლობამ მკაფიოდ მიუთითა. შესაბამისად, წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილება საქართველოს განვითარებას აფერხებს და დღეს გაჩენილ შესაძლებლობის ფანჯარას ხურავს“, - აღნიშნულია მედიასაშუალებების ერთობლივ განცხადებაში.

მოამზადა
ია შველიძემ

„მინისტრის საათის“ განრიგი ცნობილია

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის უმაღლეს საბჭოში გამართულ ბიუროს სხდომაზე 2023 წლის „მინისტრის საათის“ განრიგი განისაზღვრა, რომლის მიხედვითაც საკანონმდებლო ორგანოში 16 მარტს - აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილს, 20 აპრილს - ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ჯაბა ფუტკარაძეს, 18 მაისს - სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძეს, 15 ივნისს კი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ნინო ნიჟარაძეს მოუსმენენ. ისინი უწყების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშით წარსდგებიან

აღსანიშნავია, რომ მოქალაქეებს ელექტრონულად, აჭარის საკანონმდებლო ორგანოს ვებგვერდზე SCA.GE შეეძლებათ, მათთვის საინტერესო საკითხებზე კითხვები დაუსვან მინისტრებს. აღნიშნულ კითხვებს პლენარულ სხდომაზე უმაღლესი საბჭოს წევრი დასვამს. კითხვის ავტორის ვინაობა ანონიმურია.

ბიუროს გადაწყვეტილებით, უმაღლეს საბჭოში, საკანონმდებლო წინადადების - რეგიონების ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ (ავტორი მოქ. პაატა ურიადმყოფელი) განხილვა იწყება. დეპუტატებმა საკითხთან დაკავშირებით წამყვანი კომიტეტი და განხილვის ვადები განსაზღვრეს.

პროგრამის ბიუჯეტი და ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

გასულ წელს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ახალი პროგრამა - „უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ დანერგა. 2022 წელს პროგრამის ფარგლებში გაიცა 89 ვაუჩერი. პროგრამა წარმატებით გრძელდება წელსაც

2023 წლიდან გაიზარდა როგორც პროგრამის ბიუჯეტი (იგი 700 000 ლარს შეადგენს), ისე უშვილო წყვილების სამედიცინო მომსახურება-დაფინანსების პროცენტული წილი (80% დან - 100%-მდე) და დასაფინანსებელ ბენეფიციართა სარეიტინგო ქულა (300 000-მდე).

პროგრამის მიზანია დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გზით, უშვილო წყვილებისათვის სამედიცინო სერვისების დაფინანსება, აღნიშნულ სერვისზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და დემოგრაფიული მაჩვენებლის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პროგრამით სარგებლობენ აჭარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 300 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში კანონიერ ქორწინებაში მყოფი უშვილო წყვილები, რომელთაც ესაჭიროებათ შესაბამისი რეპროდუქციული სამედიცინო დახმარება.

პროექტი «აღაპტირებული ბათუმი» ბათუმის მერიის კონკურსის - «შენი იდეა ბათუმს» გამარჯვებულია

2

«ეს კანონპროექტი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას არ ზღუდავს»

3

«მთავარი ფაქტორი მაინც მოსახლეობაში უიმედობისა და უპერსპექტივობის განცდაა»

4

«მასწავლებლობა სხეულზე გადაკრული კანივითაა»

5

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

60 ოჯახი პროგრამაში ჩაერთო

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვერნებში მეწყრული პროცესები ვითარდება. სტიქიის ზონაში მცხოვრები 60 ოჯახი უსაფრთხო საცხოვრისის პროგრამაში ჩაერთო

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამაში“ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვერნებში მცხოვრები სამოცი ოჯახის ჩართვის საკითხი სპეციალური კომისიის სხდომაზე განიხილეს, რომელსაც მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძე ხელმძღვანელობდა.

მიმდინარე წელს პროგრამის ბიუჯეტი 4 080 000 ლარამდე გაიზარდა, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან თითოეულ ოჯახზე თანადაფინანსების წილი - 40 000 ლარამდე.

2022 წელს, პროგრამის ფარგლებში, 72 ოჯახი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 2 160 000 ლარი დაიხარჯა.

- ქვეყნისა და აჭარის მთავრობის მიზანია თითოეული ადამიანის კეთილდღეობაზე ზრუნვა. ამ ეტაპზე 60 ოჯახი შეღავათებით ისარგებლებს, - თქვა ედუარდ ნაკაშიძემ.

ბათუმის საბავშვო ბაღებში დოკუმენტაციის წარმოება შეამოწმეს

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში მუდმივმოქმედი მონიტორინგის ჯგუფი პერიოდულად სრულ სააღმზრდელო პროცესს აკვირდება

დარგის სპეციალისტები სფეროების ეფექტური მუშაობის შედეგებს აანალიზებენ, გასცემენ რეკომენდაციებს კვების, სანიტარია-ჰიგიენისა და სასწავლო მეთოდოლოგიური მიმართულებით.

საბავშვო ბაღების გაერთიანების მეთოდოლოგიური განყოფილების წარმომადგენლებმა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დოკუმენტაციის წარმოების და სააქტივო ჯგუფებში საჭირო რესურსების მიზნობრივად გადანაწილების პროცესი შეამოწმეს, დაათვალიერეს საბავშვო ბაღების გარე სივრცეები, გაეცნენ სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ აქტივობებს.

საბავშვო ბაღების გაერთიანების მეთოდოლოგიური განყოფილების სპეციალისტები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მეთოდოლოგიური მიმართულებით ეფექტიანი მუშაობის, თანამედროვე სტანდარტებით დანერგილი სიახლეების, გამოცდილებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ურთიერთგაცვლის მიზნით, №22 საბავშვო ბაღის აღმზრდელებთან ერთად №34 საბავშვო ბაღს ეწვივნენ, სადაც დაათვალიერეს თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი სააღმზრდელო ჯგუფების სივრცეები.

შემოვლითი გზებით სარგებლობენ

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

როგორც კი ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიდარა, საავტომობილო გზების თოვლის საფარისგან გაწმენდითი სამუშაოები 24-საათიან რეჟიმში დაიწყო

ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის დოლოგანი-დანდალოს მონაკვეთზე ზვავებისა და მიწის მასის ჩამოწოლამ მნიშვნელოვნად იკლო, რასაც ვერ ვიტყვით ქედა-ნამონასტრევის, დანდალო-ხარაულის, ცხმორისი-ახოს გზებზე.

სამუშაოებში ჩართულია ქედის „კომუნალურსერვისის“ და აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ტექნიკა.

ცხმორისი-კოკოტაური-ძანაძეების საავტომობილო გზაზე განვითარებული მეწყრული პროცესების გამო, ავტოტრანსპორტით გადაადგილება აკრძალულია. ადგილობრივებს შესაძლებლობა აქვთ დანდალო-ტაკიძეების შემოვლითი გზით ისარგებლონ.

გაწმენდით სამუშაოებს ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი მამუკა თურმანიძე, მისი მოადგილე როლანდ ბოლქვაძე და ქედის განყოფილების უფროსი გოჩა ბერიძე გაეცნენ.

- თუ ამინდმა ხელი შეგვიწყო, დედისა და ქალთა კვირეულის დღეებში, ყველა სოფელსა და უბნებში მისასვლელი საავტომობილო გზები თოვლის საფარისგან გაწმენდილი იქნება, - თქვა როლანდ ბერიძემ.

პროექტი „ადაპტირებული ბათუმი“ ბათუმის მერიის კონკურსის – „შენი იდეა ბათუმს“ გამარჯვებულია

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბსუ-ის საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტების პროექტი „ადაპტირებული ბათუმი“ ბათუმის მერიის კონკურსის - „შენი იდეა ბათუმს“ გამარჯვებულია

პროექტის „ადაპტირებული ბათუმი“ ავტორია ბსუ-ის სტუდენტი დავით კობალაძე და თანაავტორი ბსუ-ის კურსდამთავრებული შოთა გურგენიძე, ასევე პროექტის ჯგუფის წევრები არიან სტუდენტები ანეტი ბერიძე, ანამარია ბოლქვაძე, ქრისტინა სურმანიძე და ხვიჩა ცენტერაძე. ბსუ სტუდენტებს ულოცავს გამარჯვებას და უსურვებს წარმატებებს.

პროექტის „ადაპტირებული ბათუმი“ მიზანია, იზრუნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, გაუადვილოს კომუნიკაცია, დაეხმაროს ადაპტაციასა და ინტეგრირებაში სპეციალური ინფრაქტრუქტურის სკამების საშუალებით. სპეციალური დიზაინის, ასაკეცი მოწყობილობის სკამები ქალაქის მასშტაბით განთავსდება მათთვის ხელმისაწვდომ ადგილებზე, ესენია უნივერსიტეტის, ბულვარის, პარკის მიმდებარე ტერიტორიები და სკვერები. შშმ პირებს შესაძლებლობა ექნებათ, გარე სივრცეში თავი კომფორტულად იგრძნონ და უარი არ თქვან სახლიდან გასვლაზე. სკამს ექნება მრავალფუნქციური დატვირთვა ასაკეცი მოწყობილობის საშუალებით. თუკი შშმ პირი არ გამოიყენებს ადაპტირებულ სკამს, ამით შეუძლია სხვამ ისარგებლოს. აჭარა ტურისტული რეგიონია და სტუდენტების აზრით, პროექტის განხორციელება დადებით გამოხმაურებას ჰპოვებს საერთაშორისო ასპარეზზე და რეგიონი კიდევ უფრო მეტად მიმზიდველი გახდება უცხოელებისათვის.

კონკურსის ხმის მიცემის დასრულების შემდეგ, მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს სხდომაზე პირველ ეტაპზე გამოვლენილი 6 იდეიდან გამარჯვებულად 2 პროექტი დასახელდა, რომლებიც ბათუმის მერიის 2023 წლის ბიუჯეტიდან



დაფინანსდება.

პროექტს „შენი იდეა ბათუმს“ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია 2019 წლიდან ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID-ის) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის პროგრამის (GGI-ის) მხარდაჭერით.

ამბები

შაბათ–კვირის ქრონიკა

საქართველოს 17-წლამდე ფეხბურთელ გოგონათა ნაკრებმა სომხეთის ასაკობრივ გუნდთან მეორე მატჩი გამართა. სალომე ხუბულურის გუნდმა ერევანში ამჯერადაც დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა და მეტოქე 4:0 დაამარცხა. გატანილი გოლების გარეშე დასრულებული პირველი ტაიმის შემდეგ, საქართველოს ნაკრებმა ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისში გახსნა. 49-ე წუთზე თავი ლიზი კანკიამ გამოიჩინა, რომელმაც ერთ წუთში დუბლი შეასრულა. 61-ე წუთზე საქართველოს ნაკრების უპირატესობა სამამდე თინათინ ამბალიამ გაზარდა, ხოლო შეხვედრის საბოლოო ანგარიში ნინო ბუხრიკიძემ დააფიქსირა 86-ე წუთზე გატანილი გოლით. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა პირველი ამხანაგური მატჩი სომხეთის ნაკრებთან, რამდენიმე დღის წინ, 5:0 მოიგო. სომხეთის 17-წლამდე ნაკრებთან ამხანაგური მატჩები გუნდისთვის გაზაფხულზე გასამართი ოფიციალური შეხვედრებისთვის მოსამზადებელი ეტაპია. 12 და 15 მარტს, საქართველოს 17-წლამდე გოგონათა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის B ლიგის ფარგლებში ისრაელს და შოტლანდიას დაუპირისპირდება. საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს შოტლანდია უმასპინძლებს.

* * *

ბათუმელი კესარია მგელაძე ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონი მეექვსედ გახდა. 13 წლამდე მოჭადრაკეთა შორის კესარიამ 9-დან 7,5 ქულა დააგროვა და საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. მგელაძის მწვრთნელია საერთაშორისო ოსტატი ნიკოლოზ მანაგაძე. საქართველოს პირველობა ჭადრაკის სასახლეში 7, 9, 11, 13 და 15 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის ჩატარდა. ჩემპიონატში, საერთო ჯამში, 286 მოჭადრაკე მონაწილეობდა. I-II ადგილზე გასული მოჭადრაკეები კი ევროპის და მსოფლიოს სასკოლო ჩემპიონატის საგზურებით დაჯილდოვდებიან.

* * *

„როგორ დავამსხვრიოთ გენდერული სტერეოტიპები“ და „როგორ აღმოვფხვრათ ძალადობა“ - თემებზე მინდია აბაშიძის სახელობის თხილნარის №1 საჯარო სკოლაში დისკუსია გაიმართა. საკითხებთან დაკავშირებით ხელვაჩაურის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებმა მოსწავლეებს ინფორმაცია მიაწოდეს.

* * *

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მერაბ ხალვაშმა, პროფესორებმა და სტუდენტებმა დისკუსია გამართეს თემაზე: „საქართველოს ოკუპაცია - 1921 წლის 25 თებერვალი“ და „უკრაინაში რუსეთის აგრესია - 2022 წლის 24 თებერვალი“. დისკუსიაზე მოხსენებები წარმოადგინეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა - ოთარ გოგოლიშვილმა და ჯემალ კარალიძემ, ბსუ-ის რექტორმა მერაბ ხალვაშმა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მერაბ დიასამიძემ, ფაკულტეტის დეკანებმა, სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას პატივი მიაგეს და გმირთა საძმო საფლავი ყვავილებით შეამკეს. 1921 წლის 25 თებერვალს, თბილისი მე-11 წითელმა არმიამ დაიკავა, საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და რუსული საბჭოთა იმპერიის ნაწილად იქცა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„ეს კანონპროექტი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას არ ზღუდავს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

„ხალხის ძალის“ მიერ ახლახან ინიცირებული კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საზოგადოებაში აზრთა სხვაობას იწვევს. ოპოზიციონერთა თქმით, ის პარტნიორი სახელმწიფოების მიერ დაფინანსებული მედიისა და არასამთავრობო სექტორის შეზღუდვას ითვალისწინებს. „ხალხის ძალის“ წარმომადგენელთა აზრით კი მსგავსი კანონი აშშ-მაც მიიღო და ოპოზიციის ბრალდებები უსაფუძვლოა

ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ კანონპროექტს არაფერი აქვს საერთო დასავლურთან, იგი უფრო რუსეთში მიღებული კანონის ანალოგიურია. კანონპროექტის ირგვლივ მსჯელობა გრძელდება საზოგადოების სხვადასხვა სპექტრში. დავინტერესდით, როგორ აფასებენ ამ კანონპროექტს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. აჭარაში წარმატებით საქმიანობს „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია“. დღეს მისი ხელმძღვანელი ***გიორგი მამულაძე*** *გვესაუბრება.*

- „ხალხის ძალის“ მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, ექსპერტთა თქმით, საქართველოს პარტნიორი ქვეყნების მიერ დაფინანსებული მედიისა და არასამთავრობო სექტორის შეზღუდვას ითვალისწინებს.

- მართალი გითხრათ, ჩემთვის გაუგებარია ამ კატეგორიის ექსპერტთა მოსაზრება-განცხადებები. ვინც თავს ექსპერტს უწოდებს, ვალდებულია, სიღრმისეულად განგვიმარტოს თავისი თვალსაზრისი. მათი მოსაზრება მცდარია, ან შეგნებულად ამახინჯებენ ფაქტებს.

- რას გულისხმობთ?

- თვალსაზრისს, რომ კანონპროექტი საქართველოს პარტნიორი ქვეყნების მიერ დაფინანსებული მედიისა და არასამთავრობო სექტორის შეზღუდვას ითვალისწინებს, არ ვეთანხმები - ის არ ზღუდავს ამ კანონის საფუძველზე უცხოური გავლენის აგენტად რეგისტრირებული სუბიექტის საქმიანობას. კანონპროექტში საუბარია საქმიანობის და ფინანსების ხარჯვის გამჭვირვალობაზე. თუკი არასამთავრობო ორგანიზაცია თავისი შემოსავლის 20 პროცენტზე მეტს იღებს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან (ამ ნაწილში შეზღუდვა არ არის), ის ვალდებულია, დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში და წარადგინოს (შემოსავლებისა და ხარჯის) ფინანსური დეკლარაცია! თუკი ნებისმიერი არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი ფინანსურ დეკლარაციას შეავსებს, რაა ამაში ცუდი? ჩვენ ხომ ისედაც ანგარიშვალდებულნი უნდა ვიყოთ საზოგადოებასთან საქმიანობის შესახებ, ხოლო თუ ჩვენი საქმიანობა კანონიერია, მაშინ რა პრობლემაა, რატომ არ უნდა წარვადგინო ჩვენი შემოსავალ-გასავლის დეკლარაცია წელიწადში ერთხელ?! რაში იზღუდება ჩვენი, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის უფლებები?! მაგრამ თუკი თანხებს არამიზნობრივად ვხარჯავთ, მაშინ სავსებით ლეგიტიმურია ეჭვიც. ვფიქრობ, დემოკრატიულ ქვეყნებში ყველას საქმიანობა უნდა იყოს გამჭვირვალე. ეგრეთ წოდებულ ექსპერტებს მინდა ვკითხო: კონკრეტულად რაში იზღუდება არასამთავრობოების უფლებები? აღნიშნული კანონპროექტი არ კრძალავს დაფინანსებას უცხო ქვეყნიდან, მთავარი მოთხოვნაა დეკლარაციის შევსება მათი საქმიანობის გამჭვირვალობისათვის. საქმიანობის და ფინანსების ხარჯის გამჭვირვალობას თუ თვლიან შეზღუდვად, ეს არგუმენტი გაუგებარი და აბსურდულია.

- ოპოზიციაში ამბობენ, რომ თუ კანონპროექტი მიიღებს მხარდაჭერას და კანონად იქცევა იმ ფორმით, რაც გგაქვს, მაშინ მოსალოდნელია, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება-არმიღების საკითხი რადიკალურად გადაიხაროს არმიღებისკენ. თქვენ რას ფიქრობთ?

- პასუხამდე მინდა დავსვა რიტორიკული კითხვა: რისთვის შევდივართ ევროკავშირში? ამ გაერთიანებაში შესვლა გვინდა არა სტატუსისთვის, არამედ მასში არსებული სიკეთეების მიღებისათვის, კერძოდ, დემოკრატიისთვის, სამართლიანობისთვის, განათლებისთვის, განვითარებისთვის... ევროპული ქვეყნების განცხადებით, ისინი კანდიდატ ქვეყნებს მოუწოდებენ თვითგამორკვევისა და დემოკრატიისკენ. თუ მათი პოზიცია გადაიხრება ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის არმიღებისკენ, მაშინ უნდა განმარტონ - რატომ? ეს კანონპროექტი არასამთავრობო ორგანიზაციებს საქმიანობას ხომ არ უკრძალავს, მაშინ რატომ უნდა იყოს პრეტენზია? თუკი ეს ასე მოხდება, მაშინ ჩავთვლი, რომ ისინი თავს გვახვევენ თავიანთ მოსაზრებებს და ერევიან ჩვენი (დემოკრატიული) ქვეყნის შიდა საქმეებში, რაც არ უნდა იყოს ევროკავშირის გზავნილი უცხო ქვეყნებში. მაშინ დემოკრატიასთან კი არა, დიქტატურასთან გვაქვს საქმე.

- ამ კანონპროექტის ავტორთა თქმით, მსგავსი კანონი ამერიკასაც აქვს, ხოლო ოპოზიცია აცხადებს, რომ იგი რუსულის ანალოგიურია, ვინ შეიძლება ჩაითვალოს და როგორ განისაზღვრება „უცხოელი აგენტის“ სტატუსი?

- დიახ, ამერიკასაც და რუსეთსაც აქვს მიღებული მსგავსი კანონები, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ისინი შინაარსობრივად განსხვავდება. განცხადება განცხადებისთვის არ უნდა იყოს, მაინტერესებს, რატომ აცხადებს ოპოზიცია, რომ კონკრეტული კანონპროექტი რუსულია, მე გავეცანი აღნიშნულ კანონპროექტს და მიუღებელი მუხლი და პუნქტი არ მინახავს. კანონპროექტს თუ არ კითხულობენ და ზედაპირულად აცხადებენ, ეგ არ ვიცი. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, წარმოდგენილ კანონპროექტში საუბარი არ არის საქმიანობისა და დაფინანსების აკრძალვაზე, მხოლოდ - ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობაზე. „უცხოელი აგენტის“ სტატუსი ჩემთვის მიუღებელი ტერმინია, აგენტი ჩემს ცნობიერებაში არის ის პირი, ვინც ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ საქმიანობს. რაც შეეხება კანონპროექტით „უცხოელი აგენტის“ სტატუსს, ის ენიჭება იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთა შემოსავლის 20 პროცენტზე მეტი უცხო ქვეყნიდან მოდის.

- მმართველი პარტიის წევრები იმასაც აცხადებენ, რომ მოსახლეობამ უნდა იცოდეს, ვინ როგორ ფინანსდება, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციების თქმით, ეს ინფორმაცია გასაჯაროებულია. რეალურად რა მდგომარეობაა?

- სავსებით ვეთანხმები მმართველი გუნდის ამ მოსაზრებას. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ, საიდან, რისთვის, რატომ, როგორ ფინანსდებიან და რა საქმიანობას ეწევიან ამ ფინანსებით, აღნიშნული ფინანსები ქვეყნის მოსახლეობის ეროვნული ინტერესებისთვის იხარჯება თუ გარკვეული პრივილეგირებული წრის მიზნების მისაღწევად? საზოგადოება რა სარგებელს ნახულობს უცხო ქვეყნებიდან მიღებული ფინანსებით? დღეისათვის ფინანსური ნაწილი ცნობილია დამფინანსებლისთვის და არა საზოგადოებისთვის. საქმიანობის და ფინანსების ხარჯვის გასაჯაროება არასამთავრობოების პირად ნებაზეა დამოკიდებული და კანონმდებლობით ის საზოგადოების წინაშე არაა ვალდებული.

- ექსპერტი სანდრო თვალჭრელიძე ამბობს, რომ ამ კანონპროექტის მიხედვით, ყველაზე დიდი აგენტი ამ ქვეყანაში ეროვნული ბანკის პრეზიდენტია, რომელიც წლების განმავლობაში მსოფლიო ბანკში მუშაობდა და ახლაც სამსახურებრივად სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციებთანაა დაკავშირებული. მსგავსი ფაქტების მოყვანა კიდევ შეიძლება. რეალურად ეს რა დასკვნის საფუძველს იძლევა?

- უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ამ საკითხზე ვერ გავაკეთებ დასკვნებს - ნებისმიერ ადამიანს ბრალი ედება მას შემდეგ, როცა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გვექნება ხელში. ამ ეტაპზე მსგავსი გადაწყვეტილება ხელთ არ გვაქვს. ვარაუდის დონეზე სავსებით შესაძლებელია, აღნიშნულ განცხადებას ჰქონდეს არსებობის უფლება, მაგრამ ვარაუდი შემოწმებული და დასაბუთებული უნდა იყოს.

- როგორ ფიქრობთ, პარლამენტი დაუჭერს თუ არა მხარს ამ კანონპროექტს და როგორი იქნება დასავლეთის პოზიცია?

- დიდი ალბათობით, პარლამენტი დაუჭერს წარმოდგენილ კანონპროექტს მხარს, რადგან ოპოზიციას და მოწინააღმდეგეებს დღემდე არ გაუჟღერებიათ დასაბუთებული კონტრარგუმენტაცია. აღნიშნული საკითხი პოლიტიკური ჭრილისაა, თუ დასავლეთის პოზიცია უარყოფითი იქნება, მაშინ გამოდის, რომ ამერიკული კანონპროექტიც უარყოფითია... ჩემთვის მთავარი არგუმენტაცია და დასაბუთებაა.

- საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ თუ პარლამენტი მიიღებს „ხალხის ძალის“ ზემოაღნიშნულ კანონპროექტს, ის ვეტოს დაადებს.

- პრეზიდენტს აქვს კონსტიტუციურად ვეტოს დადების უფლება, მაგრამ მან აუცილებლად დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოს ამის აუცილებლობა და კანონპროექტის ანტიკონსტიტუციურობა.

- საინტერესოა, რუსეთის გარდა, კიდევ თუ არის სადმე მსგავსი კანონპროექტი მიღებული პოსტსაბჭოთა სივრცეში?

- კონკრეტულ პასუხს ვერ გაგცემთ, არ არის გამორიცხული, სხვა ქვეყნებშიც იყოს მსგავსი კანონები.

- უდავოა, რომ ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა პოლიტიკური სპექტრის პოლარიზებაა, ამის დასაძლევად ხელისუფლებამ და ოპოზიციამ რა უნდა გააკეთონ?

- სამწუხაროდ, ამ ნაწილში პოლიტიკური სპექტრის ორივე მხარე სცოდავს. ხშირად მათი ქმედებები პოლარიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯებია. თავდაპირველად, ორივე მხარე - პოზიცია-ოპოზიცია უნდა შეთანხმდეს იმ ძირითად საკითხებზე, რაზედაც შესაძლებელია ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით პოზიციების დაახლოება და საკითხის გადაწყვეტა, ხოლო შემდეგ უნდა ეცადოს დემოკრატიული გზებით (დიპლომატიურად) შეთანხმებულ საკითხებზე კონსენსუსის მიღწევას. არცერთმა მხარემ თავისი ვიწრო პარტიული ინტერესები ქვეყნის ინტერესებზე წინ არ უნდა დააყენოს.

- თქვენი ორგანიზაცია ვის წინაშეა ვალდებული და როგორ ხდება მისი მუშაობის მონიტორინგი?

- როგორც იცით, „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის“ ხელმძღვანელი ვარ. ორგანიზაცია 2005 წელს დავაფუძნეთ თანამოაზრეებთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ უცხო ქვეყნებიდან ერთი თეთრიც არ აგვიღია, საქმეს წარმატებით ვართმევთ თავს. ვმუშაობთ, რათა განვახორციელოთ ორგანიზაციის ძირითადი მიზნები, ვიყოთ მართლები, სამართლიანები, გვერდში დავუდგეთ გაჭირვებულ ადამიანებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს ჩვენი ძალებით ვაკეთებთ, თავს მოვალედ ვთვლი, საზოგადოებას ჩავაბაროთ ანგარიში ჩვენი საქმიანობის შესახებ. კანონმდებლობით ეს არ გვევალება, მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში კანონი კი არაა მთავარი, არამედ საზოგადოებისთვის ჩვენი საქმიანობის, მისი არსისა და საფუძვლების გაცნობა. უკეთესია, რაც უფრო გამჭვირვალე იქნება ჩვენი საქმიანობა, რადგან შემფასებელიც და რჩევა-დარიგების მომცემიც მეტი იქნება, ახალი იდეები და მოსაზრებები გაჩნდება, რაც დაგვეხმარება ორგანიზაციის განვითარებაში.

იხ. მე-7 გვ.

> *„თუკი ნებისმიერი არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი ფინანსურ დეკლარაციას შეავსებს, რაა ამაში ცუდი? ჩვენ ხომ ისედაც ანგარიშვალდებულნი უნდა ვიყოთ საზოგადოებასთან საქმიანობის შესახებ, ხოლო თუ ჩვენი საქმიანობა კანონიერია, მაშინ რა პრობლემაა, რატომ არ უნდა წარვადგინო ჩვენი შემოსავალ-გასავლის დეკლარაცია წელიწადში ერთხელ?! რაში იზღუდება ჩვენი, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის უფლებები?!“*

უცხოეთი

ჩინეთის სამშვიდობო გეგმის დეტალები გულმოდგინედ უნდა გაანალიზდეს ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინებით, - განაცხადა კრემლის პრესსპიკერმა. ჩინეთის სამშვიდობო გეგმა მოითხოვს ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვას, ცივი ომის მენტალიტეტზე უარის თქმას, საომარი მოქმედებების შეწყვეტას, სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებას, ჰუმანიტარული კრიზისის მოგვარებას, მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამხედრო ტყვეების დაცვას, ატომური ელექტროსადგურების დაცვას, სტრატეგიული რისკების შემცირებას, მარცვლეულის ექსპორტის ხელშეწყობას, ცალმხრივი სანქციების შეჩერებას, სამრეწველო და მიწოდების ჯაჭვების სტაბილურობის შენარჩუნებას, პოსტკონფლიქტური რეკონსტრუქციის ხელშეწყობას. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ „ბირთვული იარაღი არ უნდა იქნას გამოყენებული“ და „ბირთვული ომები არ უნდა მოხდეს“.

* * *

თურქეთი შვედეთსა და ფინეთთან ნატოში გაწევრიანების საკითხზე მოლაპარაკებებს 9 მარტს განაახლებს, - განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ. მისი თქმით, შეხვედრა ბრიუსელში გაიმართება და ქვეყნებს შორის გაფორმებული მემორანდუმის განხორციელების საკითხი განიხილება. თურქეთს, შვედეთსა და ფინეთს შორის ნატოში გაწევრიანების საკითხზე მოლაპარაკებები იანვარში შეწყდა, როდესაც შვედეთში თურქეთის საელჩოსთან გამართული საპროტესტო აქციის დროს ყურანის დაწვის ინციდენტის გამო თურქეთსა და სტოკჰოლმს შორის ურთიერთობა დაიძაბა.

* * *

ამერიკელ სენატორ ბერნი სანდერსის განცხადებით, რუსეთის მსგავსად, შეერთებულ შტატებშიც ოლიგარქია მყარდება. როგორც სანდერსმა აღნიშნა, სიმდიდრის, უთანასწორობის და ეკონომიკის მრავალ სექტორში საკუთრების მზარდი კონცენტრაციის გამო, შეერთებული შტატები ოლიგარქიისკენ მიდის. „ჩვენს ქვეყანაში შემოსავლისა და სიმდიდრის უფრო მეტი უთანასწორობა გვაქვს, ვიდრე ოდესმე გვქონია ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში. საშუალო კლასი აგრძელებს შემცირებას, მუშათა კლასის ადამიანები იბრძვიან სუფრაზე საკვების დასადებად, მაგრამ მილიარდერები ძალიან კარგად ცხოვრობენ“, - განაცხადა სანდერსმა.

* * *

სამხრეთ იტალიის სანაპიროზე მიგრანტების ნავი ჩაიძირა, რის შედეგადაც, მინიმუმ, 59 მიგრანტი, მათ შორის 12 ბავშვი დაიღუბა, - ინფორმაციას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს. იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა მატეო პიანტედოსიმ განაცხადა, რომ, სავარაუდოდ, 30-მდე ადამიანი დაკარგულად ითვლება. ამასთან, სანაპირო დაცვის ინფორმაციით, 80 ადამიანი ცოცხალი იპოვეს. იმ ადამიანების ზუსტი რაოდენობა, რომლებიც ნავზე ჩაძირვის დროს იმყოფებოდნენ, უცნობია. მაშველებმა განაცხადეს, რომ მასზე 200-ზე მეტი მიგრანტი იმყოფებოდა, რაც ნიშნავს, რომ 60-ზე მეტი ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. ნავზე, რომელიც თურქეთიდან გაემგზავრა, იმყოფებოდნენ მიგრანტები ავღანეთიდან, პაკისტანიდან, სომალიდან და ირანიდან.

მოამზადა
ია შველიძემ

„მთავარი ფაქტორი მაინც მოსახლეობაში უიმედობისა და უპერსპექტივობის განცდაა“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ქართულ პოლიტიკაში მრავალი საკითხია აქტუალური: პრეზიდენტის ანტისახელისუფლო განცხადებები, ურთიერთდაპირისპირება მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის, ფარული წინააღმდეგობები ოპოზიციაში, „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული კანონპროექტი, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, მიტინგები... რომ აღარაფერი ვთქვათ, ევროკავშირის 12 პუნქტის შესრულებასთან დაკავშირებით. რა ეტაპზეა ჩვენი ქვეყანა ამ მიმართებით, რა პერსპექტივები იკვეთება და რა გამოწვევებია? ეს კითხვები არაერთხელ დასმულა. დღეს მათ შესახებ თავის მოსაზრებას „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბექა ღიასამიძე გამოთქვამს

- როგორია თქვენი აზრი დღეს ქვეყნაში მიმდინარე პროცესებზე?

- დღეს საქართველო როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე შიდა საქმეებში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. რუსეთ-უკრაინის ომის წლისთავზე მთელი ცივილური სამყარო უკრაინის მხარესაა, საქართველოს ხელისუფლება კი სამარცხვინოდ, ბელორუსთან და ჩრდილოეთ კორეასთან ერთად ოფიციალური კრემლის პოლიტიკას იზიარებს. უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად ჩვენს ქვეყანას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების ისტორიული შანსი

მიეცა, მმართველი ძალა კი პუტინთან ენის მოჩლექით საუბარს ვერ გასცდა და მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური ოპონენტების სამართლებრივი დევნითა და ხელისუფლების შენარჩუნებით არის დაკავებული. საქართველოს მეგობარი სახელმწიფოები და პოლიტიკოსები მოგვიწოდებენ, დროულად გადავდგათ პოლიტიკური ნაბიჯები, რომლებიც ევროკავშირის დიდ ოჯახს დაგვაახლოებს, უზრუნველყოფს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას, ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი სასამართლოს ჩამოყალიბებას, არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარებას და ა.შ. ჩვენი პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატები კი (ე.წ. „განდგომილებთან“ ერთად) ამ ხალხს უსირცხვილოდ ლანძღავენ და შეურაცხყოფას აყენებენ.

გაუგონარი და წარმოუდგენელი რამ ხდება, იმ ქვეყნის პრემიერი, რომლის მოსახლეობის 80 პროცენტი ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეა, რუსეთს ოკუპანტი უწოდოს, ერიდება და ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნებს, რომელთა ფინანსური დახმარებითაც ბიუჯეტს ვავსებთ და მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს ვახორციელებთ, უდიერად მოიხსენიებს. სრული აბსურდის თეატრში ვცხოვრობთ, რომელიც აუცილებლად უნდა დავასრულოთ!

- თქვენ მნიშვნელოვანი თემები ჩამოთვალეთ, თითოეულ მათგანზე ვისაუბროთ - ამასწინათ ოპოზიციის ნაწილმა თბილისში უკრაინის მხარდამჭერი აქცია გამართა ომის წლისთავთან დაკავშირებით. რამდენად მნიშვნელოვანი იყო ასეთი მიტინგის ჩატარება და რა აჩვენა ამ აქციამ?

- ჯერ ერთი, უკრაინის მხარდამჭერი აქციით მსოფლიოს დავანახეთ, რომ საქართველოს სამარცხვინო ხელისუფლება ჰყავს და მისი პოზიცია ქართველი ხალხის პოზიციისგან რადიკალურად განსხვავდება. საქართველო უკრაინის გმირი ხალხის გვერდით არის და უთანაგრძნობს მათ ამ უთანასწორო ბრძოლაში. ქართველმა ხალხმა ამ აქციით აჩვენა მთავრობას, რომ მისი არჩევანი ევროკავშირია და არ აპირებს რუსეთის იმპერიის უკანა ეზო იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლება შეინარჩუნოს. ასევე, ეს გზავნილია იმისა, რომ ჩვენი მოქალაქეები არ აპირებენ, შეურიგდნენ საქართველოს რუსიფიკაციას. იმავეს, რასაც აკეთებს პუტინი რუსეთში, ივანიშვილს აქ არ გააკეთებინებენ.

- მმართველი პარტიის წევრები ამბობენ, რომ საქართველოს როგორც შეუძლია, ისე ეხმარება უკრაინას და ოპოზიციის და ოფიციალური კიევის შეფასებები ოფიციალური თბილისის მიმართ არაადეკვატური და უსამართლოა, რას ფიქრობთ?

- არაადეკვატური და უსამართლო საქართველოს მთავრობის ქმედებებია როგორც უკრაინის, ისე ჩვენი დასავლელი პარტნიორებისა და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების მიმართ. ის, რასაც დღეს „ქართული ოცნება“ პოლიტიკაში სჩადის, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს და დასკვნები თავად გააკეთეთ მკითხველთან ერთად.

- ოპოზიციის წევრებმა უკრაინის მხარდამჭერ მიტინგზე გეგმა დასახეს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, რამდენად მიღწევადია ეს გეგმები უახლოეს მომავალში?

- თუ დააკვირდით, აქციის ორგანიზატორებმა ძალიან მოზომილად, კარგად გაწერილი გეგმები გააჟღერეს. მთავარია, ამ საკითხებში თანმიმდევრულობა და რეალობის ლოგიკური აღქმა შევინარჩუნოთ. თუ მოქალაქეების მხრიდან მხარდაჭერა იქნება, ეს გეგმები შესრულებადია.

- მძაფრი დისკუსიის საგანია „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული კანონპროექტი „უცხოური დაფინანსებით მოქმედი ორგანიზაციების საქმიანობის“ შესახებ, თქვენი აზრი ამის თაობაზე...

- ეს არის რუსული კანონის ქართულ სინამდვილეში გაცოცხლება. თუ დააკვირდებით, „ქართულ ოცნებას“ პოლიტტექნოლოგიები რუსეთისგან აქვს აღებული და დიდი სურვილი აქვთ, ჩვენთანაც მეორე რუსეთი „ააშენონ“. ხელს დამოუკიდებელი ტელევიზიები და არასამთავრობოები უშლიან. როგორც კი მათ გაანეიტრალებენ (ოპოზიციურ პარტიებს ისედაც გვდევნიან), ჩათვალეთ, რომ რუსეთის ერთ-ერთი სრულფასოვანი გუბერნია გავხდებით. საწყის ეტაპზე არასამთავრობო ორგანიზაციებს მხოლოდ აგენტის იარლიყს მიაკერებენ, მერე დაიწყებენ ამ სტატუსის მიხედვით მათ დევნასა და შევიწროებას. 1937 წლის საუკეთესო ტრადიციებიც არ დაივიწყეს კანონპროექტის ავტორებმა და დასმენის ინსტიტუტის ამოქმედებასაც აპირებენ. მმართველი ძალის მხრიდან ეს სამარცხვინო საქციელი აჩენს ეჭვს, რომ ეს ყველაფერი ემსახურება კრიტიკული აზრის დადუმებას და მათი ქმედებები მიმართულია ჩვენთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის დასაბლოკად. ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ დასავლეთმა მიღებაზე თავად გვითხრას უარი.

- მმართველი პარტიის წევრები ამბობენ, რომ მსგავსი კანონპროექტი აშშ-მაც მიიღო და ოპოზიციის ბრალდებები უსაფუძვლოა, რას ფიქრობთ?

- რადიკალურად განსხვავდება აშშ-ის კანონი იმისგან, რის მიღებასაც პარლამენტში მმართველი ძალა აპირებს. ინტერნეტსივრცეში თავისუფლად შეხვდებით პუტინისა და კობახიძის განცხადებებს ამ თემასთან დაკავშირებით. შეადარეთ, ერთი ერთზე აღმოაჩენთ მსგავსებას და ვსვამ კითხვას, რანაირად იქნება ეს კანონი აშშ-ის კანონის ანალოგი? „კოპი-ფეისტით“ აქვთ გადმოღებული რუსებისგან. ეტყობა, თავად ტვინის განძრევა დაეზარათ.

- ცხადია, ოპოზიციის და მმართველი პარტიის დაპირისპირების საკითხი ძირითადად, ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებას უკავშირდება, ამ მხრივ რა მოცემულობა გვაქვს?

- როგორც ადრე მოგახსენეთ, არცერთ პუნქტში წინსვლა არ გვაქვს. აბა, თავად დაფიქრდით, იმ ადამიანის რეკომენდაციებს გაითვალისწინებთ, რომელსაც 24 საათის განმავლობაში აკრიტიკებთ? იგივე მდგომარეობა გვაქვს აქაც, „ქართულ ოცნებას“ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები ლამის ჩვენს მტრებად გამოჰყავთ და მათ რეკომენდაციებს, როგორ ფიქრობთ, გაიზიარებენ? მეტიც, იმიტომ ლანძღავენ, რომ რეკომენდაციები არ გაიზიაროონ.

- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ ქვეყანა ვითარდება და ოპოზიციის, ასევე, ევროპარლამენტარების ბრალდებები საქართველოში დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებით ცილისმწამებლური და საღ აზრს მოკლებულია...

- თუ რამე ამ ქვეყანაში დემოკრატიას აზიანებს, ეს მმართველი ძალის ნაბიჯებია, რითაც რუსეთის ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებენ. დემოკრატიას ეს მთავრობა თუ აშენებს, მხოლოდ რუსეთიდან გამოქცეული რუსი მოქალაქეებისთვის. მხოლოდ მათი უფლებები ახსენდებათ, ხოლო საკუთარი ხალხი ფეხზე ჰკიდიათ (უკაცრავად ამ გამოთქმაზე).

- ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით იმ მოვლენებს, რაც „ნაცმოძრაობაში“ ხდება. რამდენად პერსპექტიული იქნება ხაბეიშვილი როგორც ლიდერი? ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ოპოზიციური სპექტრი დისტანცირებას ცდილობს „ნაცმოძრაობისგან“, რეალურად სურათი როგორია?

- ლევანს ენერგია არ აკლია. თუმცა ამას კარგად გააზრებულ სტრატეგიასაც თუ დავუმატებთ, ვფიქრობ, ეს ოპოზიციურ ფლანგს კიდევ უფრო გააძლიერებს. ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მოქალაქეებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამ რუსული ხელისუფლების სახლში გაშვებაა.

- ამას წინათ „ენდიაიმ“ გამოაქვეყნა გამოკითხვა სხვადასხვა თემაზე, საყურადღებო იყო ის, რომ გამოკითხულთაგან ყოველ მეხუთეს ქვეყნის დატოვება სურს, ეს რისი მანიშნებელია?

- ამის ბევრი მიზეზია, მათ შორის უმუშევრობა, მძიმე სოციალური ფონი, მაგრამ მთავარი ფაქტორი მაინც მოსახლეობაში უიმედობისა და უპერსპექტივობის განცდაა. ამის კარგი მაგალითი ის არის, რომ ფინანსურად შეძლებული ადამიანებიც გარბიან ქვეყნიდან, აღარ უნდათ შვილები ასეთ ნეგატიურ გარემოში გაზარდონ.

- სხვათა შორის, ზემოაღნიშნული გამოკითხვის თანახმად, 40 პროცენტი არცერთ პარტიას არ ენდობა, ხელისუფლებამ და ოპოზიციამ რა დასკვნა უნდა გამოიტანონ?

- ნორმალური ხელისუფლება იმ დასკვნას გამოიტანდა, რომ მათი სახლში წასვლის დროა უკვე. რაც შეეხება ოპოზიციას, კიდევ ბევრი აქვს სამუშაო, რათა ხალხის მოწოდების სიმაღლეზე ვიყოთ.

- ხშირად საუბრობენ მესამე ძალის შექმნის აუცილებლობაზე, ამ მხრივ თქვენს კოალიციას („სტრატეგია აღმაშენებელი“, „დრო“ და „გირჩი მეტი თავისუფლება“) რამდენად შესწევს ძალა კონკურენცია გაუწიოს მმართველ პარტიას და „ნაცმოძრაობას“?

- ჩვენი, ანუ ოპოზიციური პარტიების ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს არა ერთმანეთთან დაპირისპირებაზე, არამედ რუსული ხელისუფლების დამარცხებაზე. ძალა სულ ორი უნდა იყოს - ქართველი ხალხი და რუსული ხელისუფლება. ეს მოცემულობა ყველამ, ხალხმაც და პოლიტიკოსებმაც კარგად უნდა გავიაზროთ და მომავალი ნაბიჯებიც ამის მიხედვით დავგეგმოთ.

- როგორც ვიცი, თქვენი ლიდერი ამასწინათ მოლდოვაში იმყოფებოდა...

- ჩვენ, ხელისუფლებისგან განსხვავებით, ვცდილობთ, სტრატეგიულ პარტნიორებთან და მოკავშირეებთან კარგი და საქმიანი ურთიერთობა შევინარჩუნოთ. მაგალითად, ჯო ბაიდენის პოლონეთში ვიზიტის დროს მიწვეული იყო მოლდოვის პრეზიდენტი, ჩვენი პრეზიდენტისგან განსხვავებით, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს. რუსეთის სასარგებლოდ ჩვენი მთავრობის საერთაშორისო იზოლაციის პოლიტიკა აზიანებს ქვეყნის ინტერესებს. ამ ხარვეზების კომპენსირება, ასევე საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხზე ზრუნვა ჩვენი პარტიის საგარეო პოლიტიკის მთავარი ღერძია.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ, რუსეთ-უკრაინის ომი კვლავ მთელი მსოფლიოს ყურადღების ეპიცენტრშია, რა სტადიაშია იგი და რამდენად მოსალოდნელია წელს უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება?

- ვფიქრობ, გაზაფხულზე გაირკვევა ბევრი რამ. დასავლეთმა უკრაინას მძიმე ტექნიკა და შეიარაღება გადასცა. ამან უკრაინის მხარეს დიდი უპირატესობა უნდა მისცეს, რადგან ინიციატივა ოფიციალური კიევის მხარეს იქნება. ყველას გვინდა, ეს ომი მალე რუსეთის დამარცხებით დამთავრდეს, მაგრამ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ უკვე არსებობს გაწერილი გეგმა, რომელსაც უკრაინა კოლექტიურ დასავლეთთან ერთად მიჰყვება, ეს კი დროს მოითხოვს.

- დაბოლოს, ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, რუსეთმა ახალი იმპერიული კავშირი ჩამოაყალიბოს ბელორუსის, ასევე, საქართველოსა და მოლდოვის ოკუპირებული ტერიტორიების მიერთებით. ამ მხრივ ქართულმა მხარემ რა უნდა მოიმოქმედოს და რამდენად მნიშვნელოვანია დასავლეთის მხარდაჭერა ამ მიმართებით?

- დასავლეთის დახმარებას ამ სიტუაციაში დიდი როლი ენიჭება, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც ჩვენი ქვეყანა ოპონირებას უწევს უკრაინას, რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში მყოფ ქვეყანას და ავრცელებს რუსულ ნარატივებს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ხელისუფლება მოახერხებს ქართველი ხალხის ნების აღსრულებას და მსგავს გეოპოლიტიკურ გამოწვევებთან გამკლავებას.

> ***ჯო ბაიდენის პოლონეთში ვიზიტის დროს მიწვეული იყო მოლდოვის პრეზიდენტი, ჩვენი პრეზიდენტისგან განსხვავებით, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს. რუსეთის სასარგებლოდ ჩვენი მთავრობის საერთაშორისო იზოლაციის პოლიტიკა აზიანებს ქვეყნის ინტერესებს. ამ ხარვეზების კომპენსირება, ასევე საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხზე ზრუნვა ჩვენი პარტიის საგარეო პოლიტიკის მთავარი ღერძია***

ახალი მუნიციპალური ავტობუსები – ბათუმში

ბათუმის მერიის ინფორმაციით, ავტობუსების ნაწილი უკვე ქალაქშია. 10 მეტრი სიგრძის თითოეულ ავტობუსს 70-მდე მგზავრის გადაყვანა შეუძლია და სრულად ადაპტირებულია შშმ პირთათვის.

ავტობუსებში დამონტაჟებულია ინტეგრირებული გათბობის, კონდიცირების, ვენტილაციის, საინფორმაციო ხმოვანი და ანტივანდალური ვიდეომონიტორინგის სისტემები. ავტოპარკის სრული განახლება აპრილში დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ ავტობუსების შეძენა აჭარის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელდა.

ამირან გურიელიძე

„მასწავლებლობა სხეულზე გადაკრული კანივითაა“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ხარისხიანი განათლება ამ ეტაპზე ქვეყნის სწორად განვითარების საფუძველი და ის ძირითადი მიზანთაგანია, რომლის წარმატებით შესრულებაში მასწავლებლის როლი და დანიშნულება პრიორიტეტულია. ამდენად, პროფესიონალი, კრეატიული პედაგოგების საქმიანობა ყურადღებას იპყრობს. მრავალთა შორის გამორჩეულია მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს“ წევრი, ცნობილი პედაგოგი მთვარისა უჩაძე - ზნეკეთილი, კეთილაღნაგი, ინტელექტითა და ფართო თვალსაწიერით. წარმატებით ფუნქციონირებს და პოპულარულია მის მიერ დაფუძნებული ონლაინ სკოლა-ლიტერატურა. გაზეთ „აჭარის“ სტუმარია ქალბატონი **მთვარისა უჩაძე.***

- მე დავიბადე...

- დავიბადე დედამიწის ყველაზე ლამაზ ადგილას და ათასჯერ იქ დავიბადებოდი, თებერვლის თოვლიან ღამეს. და მას შემდეგ არ მიყვარს თოვლი... დავიბადე - ისე უბრალოდ ვამბობთ, თითქოს ეს არ იყოს სამყაროში ყველაზე დიდი საოცრება. ალბათ, იმ ღამეს ვარსკვლავები ჭახჭახებდნენ ცაზე. აბა, სულ მათკენ რატომ გამირბის მზერა?

- სიცოცხლე საჩუქარია...

- მინასავითაა, მსხვრევადი! ზღვაში ცურვას ჰგავს. როგორი მენავეც ხარ, ცხოვრებაც ისეთია. სხვანაირად, „ცხოვრება მუსიკას ჰგავს, თითოეულ სიცოცხლეს განუმეორებელი მელოდია გასდევს ფონად...“ თუ შენი სულის მუსიკას დაწერ - ცხოვრობ. ვიოლინო ვიქნებოდი მუსიკალურ საკრავებთაგან. საერთოდ, ცუდი მოცურავე ვარ.

- მინდა ვიყო ბედნიერი...

- ბედნიერება ხელოვნების „დარგია“, მას გამკლავება სჭირდება, სიფრთხილით გამკლავება, თორემ „დაგაბარბაცებს“ და იმაზე მეტ „ხლაფორთს“ შეგამთხვევს, ვიდრე საპირისპირო მდგომარეობა. ბედნიერებისადმი დამოკიდებულება და მოთხოვნები ასაკის მიხედვით იცვლება, ხან თეთრია, ხან ფერადი... სომშვიდესა და ფორიაქს შორის მანძილია ბედნიერება.

- მშურს...

- პეპლის, სამი დღის სიცოცხლით რომ ახერხებს, დააჩნდეს სამყაროს... რა ფერადია...

- მეშინია...

- მაშინებს სიტყვა „სულერთია“.

- საქმე, რომელიც მიზიდავს და გშრომობ...

- ჩემი პროფესია, მასწავლებლობა, სხეულზე გადაკრული კანივითაა, ყველა შეხებაზე რომ რეაგირებს... სულივითაა ჩემთვის და ათასჯერ დაბადებულიც, ისევ იქ დავდგები. ის კათედრა ჯადოსნურია და უნდა „შვენოდე“ იმ ადგილს. რას არ მოიაზრებს ეს დალოცვილი საქმე. ხელოვნებაა! ახლა ონლაინრეჟიმში ყველა მხრიდან ახერხებ გაკვეთილის ჩატარებას. ემიგრაციაში ერთი წუთით არ შემიწყვეტია მუშაობა. სხვა ბევრი გატაცება მაქვს, უზღვავი. და მაინც, მგონია, რომ დამხვრეტდნენ გაცდენილი და გაფლანგული დროისა და არგაკეთებული საქმეების გამო (როგორც ფილმშია, „მზე შემოდგომისა“). რადიკალი არ ვარ, მაგრამ სუპერმაქსიმალისტი კი.

- ფიქრებში როცა ვმოგზაურობ...

- ფიქრი აზრის ფერწერაა. ვხატავთ. აქ ხომ უსაზღვროა ჩვენი შესაძლებლობები. დღეს წავიკითხე: „ზოგჯერ, ცოტა წარმოსახვით უნდა ავუცრათ საკუთარ თავს, რომ არ მოვკვდეთ რეალობისაგან“... მომეწონა. ფიქრისთვის გავჩნდით. ფიქრი ხომ ადამიანს ჰგავს. შენ ფიქრისფერი ხარ! ვთქვი ერთხელ და, არავინ ისე არ გვგავს, როგორც ჩვენი ფიქრი. ის ნიღაბს ვერ ირგებს, მაგრამ გაცხრილული - მშვენიერია!

- რას ვდარდობ და რა მიხარია...

- დარდი ადამიანურია, იქნებ ღვთაებრივიც, რაღაზე არ ვდარდობ... მიხარია ყველაფერი! ეს ნამდვილად ღვთიური რამაა. დარდებისა და სიხარულების ნიჟარების გროვებაა წუთისოფელი. მერე მარგალიტებად ვკინძავთ და კისერზე ვიკიდებთ ცხოვრებას თავისი სიურპრიზებით.

- როცა სხვას ვეხმარები...

- ეს ჩემი მთავარი „პროფესიაა“, მაბედნიერებს.

- წიგნი უპირველესი მეგობარია...

- ...ახალს რას ვიტყვი... წიგნი საზრდოა, მაგიდაზე კი ხშირად იცვლებიან ავტორები, თუმცა... „რუსთაველი დიდია, ბიჭო... ისეთი დიდი, რომ არ მოგინდება მასეთი სიდიდე... ცოდოა რუსთაველი“... თქვა ამას წინათ ბესიკ ხარანაულმა! ცისხელაა სულმნათი მართლაც და ცის იქითაც უდიდესია... მაგის წაკითხვის უნარი რომ მაქვს, ამისთვის გმადლობ, უფალო! მის სიღრმეებში წვდომას ერთი სიცოცხლე რას ეყოფა!

- სხვა პლანეტაზე წავიღებდი...

- სხვა პლანეტაზე წავიღებდი იის ნერგს. იამ თუ გაიხარა, იქ სიყვარულიც აყვავდება. „აი ია“ - ამაზე უფრო გენიალურად მარტივი სილამაზე მე ჯერ არ შემხვედრია (მუხლისმოდრეკა და თაყვანისცემა გოგებაშვილს). არა! იას აქ დავტოვებდი, ჩემს ქვეყანაში სიყვარულის ასაყვავებლად. სხვა პლანეტაზე წასაღები თავმოსაწონებელი ბევრი გვაქვს ქართველებს...

- ჩემთვის უძვირფასესი განძია...

- ჩემი შვილები და ჩემი შვილივით საყვარელი ადამიანები. მდიდარი ვარ.

- მიყვარს...

- ძალიან ბევრი რამ. უბრალოდ კი: ფინჯანი ყავა, ჩემი სულის სიმყუდროვეში შეჭვრეტა და იქიდან შუქ-ჩრდილების გადმოლაგება. გადავჩხრეკ ხოლმე და „ვეფერები“ იმ ცოდვებს, სულს რომ აწუხებენ. მინდა შევუდგე საყრდენად და დავუყვავო. აბა, ხომ ვერ მივატოვებ გასაჭირის ჟამს... მადლს რა ნუგეში უნდა, ჰყვავის სიპ ქვაზეცო.

- ვპატიობ...

- ხან ვპატიობ! ხან - ვერც! სხვებს უფრო მეტად, ვიდრე საკუთარს!

- მწამს...

- ღმერთის. და რომ „სიყვარული ბრუნვადია და თანაც ვერტიკალური...“

- ო, ენავ ჩემო...

- ამ მხრივ, „მადლი მიაყარა ღმერთმა საქართველოს“ (გრ.რობაქიძე).

- მეიმედება...

- ვცდილობ, ყველაფერში სილამაზე დავინახო და თუ არ მომწონს, ვფიქრობ, რომ უკეთ უნდა დავაკვირდე. რაღაც კარგს აუცილებლად იპოვი. ეს კი ანალიზს და გონების მოძრაობას ნიშნავს. მეიმედება საკუთარი განსჯისა და აზროვნების. იქამდე მინდა მხოლოდ სიცოცხლეც.

- საიდან მოვდივართ და სად მივეშურებით...

- არ მინდა მივეშურებოდეთ იქითკენ, სადაც სიყვარული არქაული გამოთქმა იქნება, სამუზეუმო ეგზემპლარი. ადამიანთა შორის სიყვარულს ვგულისხმობ. „საზარელია შადგომა უგრძნობელობის გზაზედა“ - აქეთკენ არ მინდა მივექანებოდეთ.

- ყველაზე ლამაზი ასაკი...

- ადამიანი არ ბერდება, ბერდება სხეული. ოშოსი არ იყოს, დიდი სხვაობაა ასაკსა და ზრდასრულობას შორის. ზოგი ბერდება, მაგრამ ვერ იზრდება. ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვს... მე არასოდეს მქონია უკან დაბრუნების სურვილი, ვიღებ იმ წლებს, რომელიც მაქვს და მერე, მოხდენილად გავეშურები ფინალისკენ, სულის რხევით, ცოდვა-მადლით სავსე ჩანთით. მადლობა უფალს დედამიწაზე სეირნობის უფლებისთვის.

- მიკვირს...

- მიკვირს მდიდარი ხალხის, მშიერი ბავშვების ცრემლები რომ არ ანადგურებთ... სიკეთე თოვლივითაა, ყველაფერს ამშვენებს, რასაც დაეფარება. ყველაზე დიდი ლოცვა - ბავშვის ტკივილიანი ცრემლის შეშრობაა.

- მეგობრები, თანამოაზრეები და მე...

- თუ მიყვარს, მიყვარს უშედავათოდ, უპირობოდ, ისეთი, როგორიცაა. არ უნდა იყო „კარგი“, უნდა იყო ნამდვილი. ასეთი მეგობრები მწამს. უნდა შეგეძლოს „თანა ...ობა“.

- უცხო ქვეყანაში...

- მიკვირს, როგორ გადავლახე საზღვარი. მე ხომ ჩემი სახლიდან იშვიათად მიყვარდა გასვლა... ხო, გასვლა! ეს გასვლაა იმ სივრციდან, სადაც შენი სულია მიჯაჭვული! მიგაქვს სხეული, და გული იქ გრჩება, სახლის ერთ საიდუმლო კუთხეში, რომლის არსებობა ყველაზე უფრო ახლობელმა, შენი ოჯახის წევრებმაც არ იციან... იქ მიაყუდე იმ იმედით, რომ დაბრუნდები და იქ დაგხვდება. ბრუნდები და, იქ აღარაა. ძებნას, არ ვიცი შედეგი თუ აქვს... უცხო ქვეყანა? უმადურობა საშინელი რამაა. მადლობა იმ მოშინაურებულ „უცხო“ ქვეყანას სიყვარულისთვის, კალთაში თავის მიდების უფლებისთვის. და მაინც, ვერსად იქნები ბედნიერი სამშობლოს გარეთ! იქაა შენი საყრდენი.

- ციფრული გამოწვევები...

- მოდი და გვერდი აუარე, თუ შეგიძლია... ეს აწმყოა და მომავალი არ არსებობს უმაგისოდ. ჩვენ ზღაპრებიდან მოვდივართ და სულ მგონია, რომ „მეზღაპრეების ოცნებების“ შედეგია დღევანდელი ტექნოლოგიური სასწაულები. ვცდილობ, არ დავბერდე.

- მე, შენ, ის... - ჩვენ - დედამიწის შვილები ახლა და მომავალში...

- „როცა ადამიანს უჭირს, მზის ჩასვლას უყურებს! შენ ორმოცდასამჯერ რომ უყურე მზის ჩასვლას, ძალიან გიჭირდა?“ („პატარა უფლისწული“). ეს საოცარი სიტყვები მინდა ვუთხრა თანადედამიწელებს! საოცრებაა მზის ჩასვლა, მზის ამობრწყინება - უფრო სასწაული! მზეს სითბო შემოაკლდა თითქოს - ეს სადღეისოდ! მზიანი ადამიანი არასოდეს მოკლავს სხვის მზეს... და ომიც აღარ იქნება - ეს სამომავლოდ!

უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ედუარდ მოსკალევი გაერთიანებული ძალების მეთაურის თანამდებობიდან გაათავისუფლა. „გათავისუფლდეს ედუარდ მიხაილოვიჩ მოსკალევი გაერთიანებული ძალების მეთაურის პოსტიდან“, - ნათქვამია ზელენსკის განკარგულებაში, რომელიც 26 თებერვლით თარიღდება. ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორი მოსკალევი გაერთიანებული ძალების მეთაურად 2022 წლის 15 მარტს, რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან მცირე ხანში დანიშნა. მანამდე ის ჯარების ოპერატიულ-სტრატეგიული დაჯგუფება „ოდესას“ მეთაური და შტაბის უფროსი - ოპერატიული სარდლობის „ვოსტოკის“ ჯარების მეთაურის პირველი მოადგილე იყო.

* * *

ვაშინგტონი ბერლინთან და ვარშავასთან ერთობლივი სამხედრო სწავლების პოლონეთში ჩატარების საკითხზე მოლაპარაკებებს აწარმოებს, - „დოიჩე ველლე“ ინფორმაციით, ამის შესახებ გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ბორის პისტორიუსმა განაცხადა. მისი თქმით, საკითხი ამჟამად „განხილვის პროცესშია“. ბორის პისტორიუსმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინის მოსაზღვრე ქვეყანაში სამხედრო მანევრების ჩატარება მკაფიო სიგნალს გაუგზავნის ნატოს მოკავშირეებს, ისევე როგორც რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს. „ნატო შორს არის ისეთი სუსტისგან, როგორიც დიდი ხანი მიაჩნდა პუტინს“, - განაცხადა გერმანიის თავდაცვის მინისტრმა და აღნიშნა, რომ ალიანსი ბევრად ძლიერი და შეკრულია, ვიდრე უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე. „თუმცა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, როგორებიცაა პოლონეთი, ბალტიისპირეთი, სლოვაკეთი და სხვა, მნიშვნელოვანია, დაინახონ, რომ გერმანია, როგორც ალიანსის ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპული წევრი და შეერთებული შტატები, როგორც ტრანსატლანტიკური პარტნიორი, ასრულებენ თავდაცვით ვალდებულებებს“, - განაცხადა ბორის პისტორიუსმა.

* * *

რუსმა ოკუპანტებმა უკრაინის ტერიტორიაზე Shahed-ის ტიპის 14 დრონი გამოიყენეს, - ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. უწყების ცნობით, უკრაინელებმა ამ დრონებიდან 11 ჩამოაგდეს. „ღამის 23 საათიდან დილამდე რუსმა ოკუპანტებმა უკრაინის ტერიტორიაზე Shahed-ის ტიპის 14 უპილოტო საფრენი აპარატი გამოიყენეს. წინასწარი მონაცემებით, ამ დრონებიდან 11 უკრაინელმა დამცველებმა ჩამოაგდეს“, - აცხადებენ გენშტაბში. ამასთან, ხმელნიცკის სამხარეო სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სერგეი გამალიმ განაცხადა, რომ ოლქში წუხელ განხორციელებული თავდასხმების შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა და ოთხი დაშავდა. „ღამით რუსმა ფაშისტებმა კიდევ ერთხელ შეუტიეს ხმელნიცკის ოლქს. 3 დარტყმა განხორციელდა ქალაქ ხმელნიცკზე. წინასწარი ინფორმაციით, გვყავს 1 დაღუპული და 4 დაჭრილი. ხანძრის ჩაქრობა გრძელდება. დაზიანებულია სამოქალაქო სახლები“, - წერს ხმელნიცკის გუბერნატორი სოციალურ ქსელში.

* * *

კიევში ვიზიტისას საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა უკრაინისადმი მისი ქვეყნის მხარდაჭერა. ალ საუდი შეხვდა უკრაინის პრეზიდენტს. უკრაინამ და საუდის არაბეთმა დიპლომატიური ურთიერთობა 1993 წელს დაიწყეს. ოქტომბერში საუდის არაბეთმა განაცხადა, რომ ის უკრაინას 400 მილიონი დოლარის ჰუმანიტარულ დახმარებას გაუწევდა და გამოთქვა მზაობა დეესკალაციის მიზნით შუამავლობის ძალისხმევისთვის. სექტემბერში საუდის არაბეთის დიპლომატიური ძალისხმევის შედეგად უკრაინაში დატყვევებული უცხოელი მებრძოლები გაათავისუფლეს.

* * *

- თუ რუსეთის არსებობის შესახებ საკითხი სერიოზულად დადგება, ეს კაცობრიობის ცივილიზაციის არსებობის საკითხთან ერთად გადაწყდება, - განაცხადა რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევმა. მისი თქმით, რუსეთის, როგორც სსრკ-ის განადგურება არ გამოვა. „თუ თავად რუსეთის არსებობის საკითხი სერიოზულად დადგება, ის გადაწყდება არა უკრაინის ფრონტზე, არამედ მთელი კაცობრიობის ცივილიზაციის შემდგომი არსებობის საკითხთან ერთად. და ამაში არანაირი ორაზროვნება არ უნდა იყოს. ჩვენ არ გვჭირდება სამყარო რუსეთის გარეშე“, - წერს მედვედევი სტატიაში, რომელიც „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა. რუსეთის ყოფილი პრემიერისა და ყოფილი პრეზიდენტის განმარტებით, დასავლეთს საშიში ილუზიები ამოძრავებს, რომ ის რუსეთის „დამარხვას“ შეძლებს, როგორც ეს სსრკ-ის შემთხვევაში მოხდა, მაგრამ, მისი თქმით, ისტორია გვიჩვენებს, რომ „ნებისმიერი დაშლილი იმპერია თავის ნანგრევებში მსოფლიოს ნახევარსა და კიდევ უფრო მეტს მარხავს“. მანამდე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ დასავლეთის მიზანი რუსეთის დაყოფაა „მოსკოვიტებად, ურალელებად და ასე შემდეგ“. მისი თქმით, თუ მოსკოვი არ ჩაერევა დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკაში, თავად რუსეთის ხალხების ბედი შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს, უპირველეს ყოვლისა კი საკუთრივ რუსებისა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

განათლება მარტო ცოდნის მიღება არაა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ჩიქუნეთელი (მაჭახლის ხეობა) ბასილაძეების გვარს სახელოვანი ადამიანები არ აკლია. მამაკაცებთან ერთად, ქალებიც აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით გამოირჩევიან. ბათუმის მე-4 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გულნაზ ბასილაძე მათ რიგებშია

- იმ ხეობის მკვიდრი ვარ, რომელმაც კარიბჭესთან «მაჭახელას თოფს» ქანდაკება დაუდგა. მამა - ალიოშა ბასილაძე წლების განმავლობაში ახლანედლი ჩიქუნეთის საჯარო სკოლის დირექტორი იყო. გვარის უხუცესის, პროფესორ ნოდარ ბასილაძის მსგავსად, ხეობასა და რეგიონში წარმატებული ხელმძღვანელის, ნოვატორი პედაგოგისა და პატრიოტი კაცის სახელი ჰქონდა, შვილებსაც ამ სულისკვეთებით გვზრდიდა. ჩვენთვის დიდი სკოლა იყო სოფელში შემოსული ღირსეული ადამიანების ოჯახში სტუმრობა, მათი მომსახურება, სუფრასთან მოყოლილი საინტერესო ამბების მოსმენა. იმ წლებში გამინდა სურვილი, მამის პროფესიას გავყოლოდი. გამორჩეულად ქართველი კლასიკოსების შემოქმედება მიტაცებდა. ქართველ მწერლებთან, მშობლიურ ენასთან ყოველდღიური ურთიერთობა რომ მქონოდა, სპეციალობად ქართული ენა და ლიტერატურა ავირჩიე.

- გამორჩეული კლასიკოსიც გეყოლებათ...

- ვაჟა-ფშაველა. მეხსიერებიდან არ იშლება მისი სიტყვები: «ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელი თავისი ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისთვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის». ამ შეგონების ერთგული ვარ დღემდე. სოფლის სკოლის მოსწავლე მის შემოქმედებას საფუძვლიანად გავეცანი, დიდი იყო მამის დამსახურებაც. სადიპლომო ნაშრომიც ვაჟას შემოქმედებას მივუძღვენი. მთელი ენერგია შევალიე, რომ ბუნება ვაჟას შემოქმედებაში ჩეული ხედვით წარმომეჩინა. კომისიამ ნაშრომს უმაღლესი შეფასება მისცა. მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობა გახდა იმის საფუძველი, რომ ქალაქ ბათუმის მე-4 საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დამეწყო მუშაობა. უკვე სერტიფიცირებული პედაგოგი ვარ და მენტორის წოდების მოსაპოვებლად თადარიგს ვიჭერ.

- ბათუმის მე-4 და 25-ე საჯარო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი «პერსონა 2023» წლის ტიტულზე ხართ წარდგენილი.

- იუსაიდის საბაზო განათლების პროგრამის მონაწილე ლიდერი მასწავლებელი ვარ მუშაობის 32-წლიანი გამოცდილებით. ტიტული «პერსონა» ითვალისწინებს პროფესიონალიზმს, შემოქმედებითობას, მოქნილობას, პიროვნულ თვისებებს, გუნდური პრინციპით მუშაობას.

- უახლოეს პერიოდში ჩატარებულ აქტივობებს თუ დაასახელებთ?

- რამდენიც გინდათ. მე-4 სკოლის V კლასის მოსწავლეებთან რევაზ ინანიშვილის «მუხა» განვიხილეთ. იგი მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, სწრაფი კითხვის განვითარებას, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. 25-ე საჯარო სკოლის მეორეკლასელებმა ელექტრონულად შეაჯამეს შესწავლილი ტექსტი «ლეგენდა თბილისზე». თანადგომა გამიწიეს სკოლის მენეჯერმა რუსუდან ბოლქვაძემ, კლასის ხელმძღვანელებმა ციური ხალვაშმა და ია ტარიელაძემ. ჩემი ორგანიზატორობით, იუსაიდის საბაზისო პროგრამის ფარგლებში, მე-4 საჯარო სკოლაში დაწყებითი საფეხურის (V-VI კლასები) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მორიგი შეხვედრა ჩატარდა თემაზე «დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე გამოყენებული სტრატეგიები და მეთოდები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას». ჯგუფის წევრებმა ლელა ჯინჭარაძემ, მანანა გოგუაძემ, ჯეირან ბერიძემ, ლია ჯუმუშაძემ შეხვედრა მაღალ დონეზე შემიფასეს. წიგნის საჯაროდ კითხვის დღეს მე-4 სკოლის მესამეკლასელი, ჩემი მოსწავლე ნია ცინცაძე მოწვეული საპატიო სტუმრების წინაშე საკუთარი მოთხრობით

> ***„ბავშვმა უნდა იცოდეს, რას, რატომ და რისთვის სწავლობს. მოსწავლეს აკაკის «გამზრდელის», ილიას «განდეგილის» მნიშვნელობას თუ დავანახებ, მაშინ სამართლიანი, ვალმოხდილი მასწავლებელი ვიქნები. მოსწავლე - ნიშანზე, პედაგოგი საგაკვეთილო დროის გაყვანაზე არ უნდა ფიქრობდეს***

მეული ხედვით წარმომეჩინა. კომისიამ ნაშრომს უმაღლესი შეფასება მისცა. მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობა გახდა იმის საფუძველი, რომ ქალაქ ბათუმის მე-4 საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დამეწყო მუშაობა. უკვე სერტიფიცირებული პედაგოგი ვარ და მენტორის წოდების მოსაპოვებლად თადარიგს ვიჭერ.

- ბათუმის მე-4 და 25-ე საჯარო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი «პერსონა 2023» წლის ტიტულზე ხართ წარდგენილი.

- იუსაიდის საბაზო განათლების პროგრამის მონაწილე ლიდერი მასწავლებელი ვარ მუშაობის 32-წლიანი გამოცდილებით. ტიტული «პერსონა» ითვალისწინებს პროფესიონალიზმს, შემოქმედებითობას, მოქნილობას, პიროვნულ თვისებებს, გუნდური პრინციპით მუშაობას.

- უახლოეს პერიოდში ჩატარებულ აქტივობებს თუ დაასახელებთ?

- რამდენიც გინდათ. მე-4 სკოლის V კლასის მოსწავლეებთან რევაზ ინანიშვილის «მუხა» განვიხილეთ. იგი მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, სწრაფი კითხვის განვითარებას, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. 25-ე საჯარო სკოლის მეორეკლასელებმა ელექტრონულად შეაჯამეს შესწავლილი ტექსტი «ლეგენდა თბილისზე». თანადგომა გამიწიეს სკოლის მენეჯერმა რუსუდან ბოლქვაძემ, კლასის ხელმძღვანელებმა ციური ხალვაშმა და ია ტარიელაძემ. ჩემი ორგანიზატორობით, იუსაიდის საბაზისო პროგრამის ფარგლებში, მე-4 საჯარო სკოლაში დაწყებითი საფეხურის (V-VI კლასები) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მორიგი შეხვედრა ჩატარდა თემაზე «დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე გამოყენებული სტრატეგიები და მეთოდები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას». ჯგუფის წევრებმა ლელა ჯინჭარაძემ, მანანა გოგუაძემ, ჯეირან ბერიძემ, ლია ჯუმუშაძემ შეხვედრა მაღალ დონეზე შემიფასეს. წიგნის საჯაროდ კითხვის დღეს მე-4 სკოლის მესამეკლასელი, ჩემი მოსწავლე ნია ცინცაძე მოწვეული საპატიო სტუმრების წინაშე საკუთარი მოთხრობით სიამტკბილობით მოვდივართ და იმედია, სიცოცხლის ბოლომდე ასე ვიქნებით. მეუღლე პროფესიით ინჟინერია, თუმცა ენერგეტიკოსის სპეციალობას უღალატა და ახლა სხვა პოზიციაზეა დასაქმებული.

- სხვისი შვილების დამკვალიანებელი, რამდენი შვილის დედა ხართ?

- ორის. ისინი უკვე საქორწინო ასაკის არიან. იმედია, მალე დედამთილისა და სიდედრის «წოდებებსაც» «მომანიჭებენ».

- მოსწავლეებთან ქართული ოჯახის მნიშვნელობაზე თუ საუბრობთ?

- ქართული ოჯახი ჩემთვის სიყვარულთან, კეთილ დამოკიდებულებასთან, დაფასებასა და ნდობასთან ასოცირდება. როცა მამაკაცი ოჯახს ქმნის, მან მისი ფასი უნდა იცოდეს, უღელი, რომელიც დაიდგა, გზაზე არ უნდა გადატეხოს. ღალატი, შური, გაუტანლობა ოჯახის ნგრევის საფუძველი ხდება. ქალსაც უდიდესი როლი აკისრია. ფილოლოგი, პედაგოგი უცხოურ ლიტერატურასაც ვეცნობი. ვერსად ვნახე სიტყვა «დედაკაცი». ქართველებმა დედა კაცს გაუტოლეს, მისი ფუნქციებიც დააკისრეს. თუმცა მიუღებელია, როცა შვილებს, ოჯახს დედა მიატოვებს და უცხოეთში მიდის. შრომას უკვე აქაც მოაქვს შედეგი. მე როგორც ქალი, დედა, ვცდილობ, ოჯახის წევრებთან, მოსწავლეებთან, მეგობრებთან ურთიერთობის საკუთარი ხელწერა მქონდეს. ამ ასაკშიც კი ბევრს სხვებისგან ვსწავლობ.

- სასკოლო სახელმძღვანელოების სისტემატურ ცვლილებებს როგორ ეგუებით?

- თანამედროვე მასწვლებელი ნაბიჯებს უნდა უწყობდეს სიახლეებს. ვფიქრობ, რომ ამ ცვლილებებს ვეწყობი, ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვები, ვცდილობ, პროფესიულ საქმიანობაში დავამკვიდრო. უმთავრესია, მოსწავლეებამდე მივიტანო ის ფასეულობანი, რასაც განათლების რეფორმა გვიყენებს. განათლება მარტო ცოდნის მიღება არაა, მას პრაქტიკაში გამოყენება უნდა. ბავშვმა უნდა იცოდეს, რას, რატომ და რისთვის სწავლობს. მოსწავლეს აკაკის «გამზრდელის», ილიას «განდეგილის» მნიშვნელობას თუ დავანახებ, მაშინ სამართლიანი, ვალმოხდილი მასწავლებელი ვიქნები. მოსწავლე - ნიშანზე, პედაგოგი საგაკვეთილო დროის გაყვანაზე არ უნდა ფიქრობდეს.

- მშობლიური ენის მასწავლებელი როგორ შეეგუეთ წლების წინ გოგებაშვილის «დედა ენის» სწავლებიდან ამოღებას?

- ახლა დაწყებითი კლასების მასწავლებლებს არჩევანის უფლება მოგვცეს. მე უპირატესობას იაკობ გოგებაშვილის «დედა ენას» ვანიჭებ.

- მოსწავლეებთან მაჭახელას ხეობის წარსულს თუ განიხილავთ?

- დღეს ორად გაყოფილი მაჭახელას ხეობა ჩვენი წარსულის ბალავარია. მეამაყება, რომ ამ ხეობის შვილი ვარ, მასთან მაკავშირებს ბავშვობის, მოსწავლეობის წლები. გაკვეთილზე, როგორც კი შესაძლებლობა მეძლევა, თემას მაჭახელას ხეობას ვუკავშირებ. მოსწავლეებს ეს მოსწონთ. თავისუფალ თემასაც ხშირად წერენ მაჭახელას ხეობის შესახებ.

- პედაგოგიური საქმიანობა შედეგს წლების შემდეგ გამოიღებს...

- პირველი გაკვეთილი რომ ჩავუტარე, ის მოსწავლეები ახლა თითქმის ნახევარ საუკუნეს მიღწეულნი არიან. ჩვენს შორის ასაკობრივი ზღვარი 5-6 წელია, თუმცა ყველანი «გულნაზ მასწავლებელოთი» მომმართავენ. ეს ჩემთვის დიდი პატივია, ისინი პედაგოგის, სკოლის ამაგს აფასებენ, რაც ძალიან მახარებს. ყოფილი მოსწავლეებიდან რამდენიმეს წარმატებული ბიზნესი აქვთ. ისინი სკოლის, სადამრიგებლო კლასის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის, თვალსაჩინოებით მომარაგებისთვის თანადგომას მთავაზობენ. პედაგოგიური ნათლობა მშობლიურ სოფელ ჩიქუნეთის სკოლაში იმ დროს მივიღე, როცა მამა ალიოშა ბასილაძე სკოლის დირექტორი იყო. მაშინ ქვეყანასაც უჭირდა და თითოეულ ჩვენგანსაც. იქაური ბიზნესმენების, ყოფილი მოსწავლეების თანადგომით შევძელით დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მოპატიჟებული სახელოვანი ქალებისთვის საჩუქრები გადაგვეცა. გარდა ამისა, სკოლის ბიბლიოთეკას, პედაგოგებს, წიგნების შეძენეშიც ეხმარებოდნენ.

- მოსწავლეები ამაგს თუ გიფასებენ?

- სათითაოდ ვინახავ იმ ფურცლებს, თუნდაც ნაგლეჯებს, რომელზეც მოსწავლეები მიწერდნენ: «მასწავლებელო, მე თქვენ მიყვარხართ», გულებს მიხატავდნენ. ეს არის ამაგის დაფასება. ახლა მეშვიდე კლასის ხელმძღვნელი ვარ, პირველი კლასიდან მოვყვები ამ ბავშვებს. როცა მე-12 კლასში იქნებიან, მაშინ მინდა ავკინძო მათი ჩანაწერები და სოციალურ ქსელში მაინც განვათავსო, გამოფენა მოვაწყო. მაინტერესებს, რა შთაბეჭდილება დარჩებათ.

- წიგნის გამოცემასაც ხომ არ აპირებთ?

- შესაძლებელია.

„არ მიიღოთ ეს კანონპროექტი, არ მოკლათ ათასობით ადამიანის ბედი, მომავალი და ცხოვრება“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ხალხის ძალის“ კანონპროექტს „უცხოური გავლენების გამჭვირვალობის შესახებ“, რომელიც პარლამენტში უკვე დარეგისტრირდა და რომლის მიხედვითაც ის არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიასაშუალებები, რომლებიც საქართველოს პარტნიორებისგან ფინანსდებიან, „უცხოური გავლენის აგენტებად“ უნდა დარეგისტრირდნენ, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მწვავე კრიტიკა და არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. კანონპროექტის მიხედვით, ყველა, ვინც „უცხოური გავლენის აგენტად“ მოიაზრება, ვალდებულია დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში, ამავე სახელწოდების ბაზაში. დოკუმენტის მიხედვით, „უცხოური გავლენის აგენტებად“ მოიაზრებიან: ყველა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, მათ შორის ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის წლიური შემოსავლის 20 პროცენტზე მეტი „უცხოური ძალაა“. თუმცა, არა - სახელმწიფო ორგანიზაციები ან საქართველოს კანონმდებლობით დაფუძნებული სპორტული ფედერაციები, ტელევიზიები, რომელთა შემოსავლის 20 პროცენტზე მეტი „უცხოური ძალაა“ (არ იგულისხმება რეკლამა), მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მათ შორის გაზეთები და ონლაინ მედიასაშუალებები, რომელთა შემოსავლის 20 პროცენტზე მეტი „უცხოური ძალაა“ (არ იგულისხმება რეკლამა). საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული კანონპროექტის მიზანი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კრიტიკული მედიაორგანიზაციების ჩახშობაა, რომლებიც საერთაშორისო და ავტორიტეტული ორგანიზაციებიდან გრანტს იღებენ. ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტის პრესსპიკერ ნედ პრაისის განცხადებით, აღნიშნული კანონპროექტი პოტენციურ საფრთხეს შეუქმნის საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და ქვეყანაში დამოუკიდებლობის ხარისხს ძალიან დაბალ მაჩვენებელზე დაიყვანს. „უცხოეთის გავლენის აგენტების“ კანონპროექტთან დაკავშირებით, ასევე, გაავრცელა განცხადება ევროკავშირის საგარეო სამსახურმა, სადაც წერია, რომ აღნიშნული ეწინააღმდეგება 12-პუნქტიან რეკომენდაციებს, რომელიც საქართველომ კანდიდატის სტატუსის მისაღებად უნდა შეასრულოს.

- წარმოდგენილი კანონპროექტი „უცხოური ძალის გამჭვირვალობის“ შესახებ სერიოზულ წუხილს აჩენს. სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ისინი შეუზღუდავად შეძლებენ საქმიანობას და ასევე, მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა, არის დემოკრატიის მთავარი ნაწილი. ეს ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირში გაწევრიანების პროცესისთვის და ნაწილია 12 პუნქტისა, რომელთაგან მე-7 პუნქტი, ეხება მედიის თავისუფლებას და ასევე, მე-10 პუნქტი, რაც სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას გულისხმობს. ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს რეფორმების მცდელობებში, ასევე, ქვეყნის მისწრაფებებს განვითარებისა და ევროკავშირში გაწევრიანებისკენ, როგორც ეს საქართველოს კონსტიტუციაშია გათვალისწინებული. ამ კანონპროექტის მიღება შეუთავსებელი იქნება როგორც ამ მისწრაფებებთან, ისე ევროკავშირის ნორმებთან და ღირებულებებთან. მოვუწოდებთ საქართველოში პოლიტიკურ ლიდერებს, ისეთი რეფორმები განახორციელონ, რომელიც შეესაბამება ევროკავშირში გაწევრიანების გაცხადებულ მიზანს და რომელსაც მხარს უჭერს საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა, - ნათქვამია განცხადებაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება დააფიქსირა აშშ-ის ელჩმა საქართველოში **კელი დეგნანმა.**

- ეს კანონპროექტი რუსულია, რომლის მიზანია ორგანიზაციების სტიგმატიზება, გააჩუმოს განსხვავებული აზრი, განსხვავებული შეხედულება და, ამავდროულად, ხელი შეუშალოს ქართველებს, საზოგადოების სხვა წევრების დახმარება გააგრძელონ. მაგალითად, ეს კანონი ხელს შეუშლის ორგანიზაციებს, რომლებიც შშმ პირებს ეხმარებიან სხვადასხვა საკითხში, ხელს შეუშლის, ასევე, სამედიცინო კვლევებს, რომელიც დონორების დახმარებით ხორციელდება. ხელს შეუშლის ტურიზმს, ბიზნესასოციაციებს, ფერმერებს, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც კლიმატის ცვლილებებსა და ნებისმიერ სხვა საკითხზე მუშაობენ. სია ნამდვილად ძალიან გრძელია, - განაცხადა კელი დეგნანმა.

აღნიშნულ კანონპროეტს გამოეხმაურა ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“, რომელმაც კანონპროექტის ინიციატორებსა და პოტენციურ მხარდამჭერებს მიმართა.

- არ მიიღოთ ეს კანონპროექტი, არ მოკლათ ათასობით ადამიანის ბედი, მომავალი და ცხოვრება. ამას ველარასოდეს გამოასწორებთ. იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ საქმიანობას შევწყვეტთ, მხარდაჭერის, დახმარებისა და უამრავი სერვისის გარეშე დარჩებიან ის ადამიანები, რომლებიც ახლა სხვადასხვა დონორის მხრიდან გაცემული გრანტის საშუალებით, ჩვენი გავლით ახერხებენ სახლიდან გამოსვლას, ცხოვრების თავიდან დაწყებას, სამსახურის ძიებას, განათლების მიღებას და, უბრალოდ, დამოუკიდებელ ცხოვრებას. ჩვენი საქმიანობის შეწყვეტა ყველა ამ ადამიანისა და მათი ოჯახის წევრებისთვის მიყენებული უდიდესი დარტყმაა, დარტყმა, რომელმაც შესაძლოა, რომ მათი

იხ. მე-7 გვ.

პრეზიდენტმა ცვლილებებს ვეტო დაადო

ნანა აბულაძე 577 20 35 90

არც საჭირო, არც საჩქარო და არც არგუმენტირებულია, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა და ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში შესული ცვლილებებს, ვეტო დაადო. საუბარია პარლამენტის მიერ დაჩქარებული წესით მიიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე. აღსანიშნავია, რომ ამჟამად ეროვნულ ბანკს სამი ვიცე-პრეზიდენტი ჰყავს თანაბარი უფლებებით. საქართველოს ეროვნული ბანკის დირექტორ კობა გვენეტაძის წასვლის შემთხვევაში, რომელსაც უფლებამოსილების ვადა 2023 წლის 2 მარტს ეწურება, ეროვნული ბანკის შიდა რეგულაციების თანახმად, სამი მათგანიდან, ერთ-ერთი გახდებოდა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, კანონპროექტმა კი შემოიტანა „პირველი ვიცე-პრეზიდენტის“ ცნება და, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემთხვევაში, მას დააკისრა ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება.

- მოქმედი 3 ვიცე-პრეზიდენტიდან თავისუფლად შესაძლებელია ერთ-ერთმა შეასრულოს პრეზიდენტის მოვალეობა, ამას პრაქტიკა ადასტურებს. მაშასადამე, ჩნდება კითხვა, ნუთუ ხელისუფლებას არცერთი ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურა არ აკმაყოფილებს და სჭირდება დამატებითი ადგილის შექმნა? ასევე, ჩნდება ეჭვი იმის შესახებ, რომ თუ საქართველოს პრეზიდენტის წარდგენილ კანდიდატურებს არ ექნება პარლამენტის მხარდაჭერა, კანონი იძლევა შესაძლებლობას, რომ პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა განუსაზღვრელი ვადით შეასრულოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობა. ასეთი ეჭვი უთუოდ უნდა გაიფანტოს, რამეთუ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის პრინციპი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.

ამდენად, საქართველოს პრეზიდენტი, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, იმედს იტოვებს, რომ ვეტო არ დაიძლევა და მის მიერ შეთავაზებული მოტივირებული შენიშვნები გათვალისწინებული იქნება, - ნათქვამია სალომე ზურაბიშვილის განცხადებაში.

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ვეტოს დადებასთან დაკავშირებით, დადებითი უწოდა ამერიკის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა. ელჩს მიაჩნია, რომ არ არის საჭირო ეროვნულ ბანკში პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის დამატება.

- ეროვნული ბანკის სანდოობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის მისი დამოუკიდებლობა და ამ საკითხთან დაკავშირებით ვეთანხმები საერთაშორისო სავალუტო ფონდის და საქართველოს პრეზიდენტის მოსაზრებას, რომ ეს ცვლილებები არ არის აუცილებელი და საჭირო, როცა ეროვნულ ბანკში არის გუნდი, რომელმაც ასე კარგად მართა ამ პერიოდის განმავლობაში. ამაზე მიანიშნებს ის სტატისტიკა, რაც არსებობს. რატომ უნდა შეიცვალოს ეს გუნდი, რატომ უნდა შეიცვალოს სტრუქტურა, რამაც მოიტანა სტაბილური ეკონომიკის ზრდა, განსაკუთრებით ისეთ რთულ პერიოდში, როგორიც იყო კოვიდი, რუსული ფულის შემოდინება უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ. ამ ყველაფერს ძალიან კარგად გაართვა თავი ბანკმა. დასანანია, რომ აღნიშნული კანონპროექტი ნაჩქარევად იქნა შემუშავებული, ის ეწინააღმდეგება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას, - აღნიშნა კელი დეგნანმა.

„არ მიიღოთ ეს კანონპროექტი, არ მოკლათ ათასობით ადამიანის ბედი, მომავალი და ცხოვრება“

მე-6 გვერდიდან

ცხოვრება ისევ წარსულისკენ, ძალიან მძიმე ყოფისკენ წაიყვანოს“, - აღნიშნულია ორგანიზაციის განცხადებაში, რომელიც წლებია, შშმ პირთა გაძლიერებისთვის ზრუნავს ჩვენს რეგიონში.

კანონპროექტის ინიციატორებს და მხარდამჭერებს ასევე მიმართა შშმ ქალთა ალიანსის აღმასრულებელმა დირექტორმა აჭარაში დეა ერემაშვილმა. მისი განცხადებით, ეს კანონპროექტი თუ ძალაში შევა და კანონის სახეს მიიღებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები ამ ქვეყანაში უამრავი სერვისის გარეშე დარჩებიან.

- ჩვენ, აჭარის ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად არაერთხელ გვიმუშავია სხვადასხვა მომსახურების დანერგვის კუთხით, თუ ჩვენ ადარ ვიქნებით, ასეთი ინიციატივებიც შეწყდება. მივმართავ კანონპროეტის ავტორებს და მხარდამჭერებს, არ მიიღოთ ეს კანონპროექტი, არ დაუშვათ, რომ საქართველოში ძალიან ბევრი შშმ ქალი დარჩეს მხარდაჭერის, განათლების, სასიცოცხლო სერვისებისა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღმა, - აღნიშნა **დეა ერემაშვილმა.**

თუ რატომ არ უნდა მიიღონ კანონპროექტი, აღნიშნულის შესახებ ისაუბრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობელმა, **ნატალია დავითაძემ,** რომელიც ორგანიზაცია „ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრს“ წარმოადგენს.

- მე ვარ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობელი, უამრავი წინააღმდეგობის და ბარიერის გადალახვა მიწევს ჩემი შვილისთვის სათანადო ცხოვრების პირობების მისაღწევად. ხშირია ჩვენ მიმართ უფლებების დარღვევა განათლების, ჯანდაცვის, დასაქმების სფეროებში, რა დროსაც ჩვენ მხარდაჭერას და სათანადო დახმარებას სახელმწიფო სტრუქტურებთან დავასა და მათგან სერვისების მიღებაში სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციები გვიწევენ. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციაა „ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი“, რომელიც ყველაფერს აკეთებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და მათი ოჯახების მხარდასაჭერად. ამ ორგანიზაციის მეშვეობით მე და ჩემმა შვილმა შევძელით სახელოვნებო და კულტურის სფეროში ჩართვა, მათი მხარდაჭერითა და ადვოკატირებით, ბათუმის მერიასთან ერთად, შესაძლებელი გახდა ინკლუზიური თეატრალური დასის ჩამოყალიბება და განვითარება, სადაც სხვა პირებთან ერთად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც მონაწილეობენ. ჩემი შვილი ამ ყველაფრის შედეგად გახდა უფრო კომუნიკაბელური, გაიჩინა ახალი მეგობრები და შეძლო საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს ორგანიზაცია ვერანაირად ვერ იქნება უცხო ქვეყნის და მით უმეტეს, აგენტი, პირიქით, ეს და სხვა მსგავსი ორგანიზაციები აკეთებენ ქართულ საქმეს და გვეხმარებიან საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელთა უფლებებიც ხშირად ირღვევა და სახელმწიფო ხშირად ამ ყველაფრისგან ვერ გვიცავს, - განაცხადა ნატალია დავითაძემ.

პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძის** თქმით, იტყუება ყველა, ვინც „ხალხის ძალის“ კანონპროექტს რუსულს უწოდებს.

- ამბობდნენ, რომ ქართული კანონპროექტი იყო რუსული, რაც იყო ჩვეულებრივი ტყუილი. ვინც ამას ამბობდა და ამბობს, ჩვეულებრივად იტყუება. ახლა ამერიკულის ასლია წარმოდგენილი, ამასაც რუსულს ეძახიან, ეს უკვე ტყუილზე მეტია. ვინც ამბობს, რომ პირველი ვერსია არის რუსული, იტყუება. ნედ პრაისი შეცდომაში შეიყვანეს, მიუტანეს არასწორი ინფორმაცია და, სამწუხაროდ, სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის პირით ითქვა ტყუილი. გვარებზე არ ჩავალ. ვინც ამბობს, რომ ინიცირებული კანონპროექტი არის რუსული, ის იტყუება, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

„ეს კანონპროექტი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას არ ზღუდავს“

მე-3 გვერდიდან

- ბოლო წლებში თქვენს ორგანიზაციაში გაკეთებული საქმეებიდან რომელს გამოყოფთ?

- ამაყად შემიძლია განვაცხადო, რომ კმაყოფილი ვარ ორგანიზაციისა და ჩვენი გუნდის საქმიანობით. მრავალი მაგალითი შემიძლია დავასახელო, მაგრამ ორს გამოვყოფ: შარშან ჩვენი ჩარევითა და რეკომენდაციით დაფინანსდა და ხელის მტევანი შეუნარჩუნდა მცირეწლოვან ბავშვს; სამივე ინსტანციის სასამართლოში უთანასწორო ბრძოლაში შევძელით სოციალურად დაუცველი ოჯახის გამოსახლებისგან გადარჩენა და მისთვის მართლზომიერებაში არსებული ქონების საკუთარებაში დაკანონება.

- დაბოლოს, კანდიდატის სტატუსის მიღება რა პერსპექტივებს ან გამოწვევებს უსახავს საქართველოს?

- რა თქმა უნდა, კანდიდატის სტატუსის მიღება ქვეყნისთვის კარგია, უფრო მეტი რეფორმა, განვითარება, ეკონომიკა, დემოკრატია, ანუ ქვეყნის წინაშე მეტი პერსპექტივა ჩნდება, მაგრამ როგორც რიგითი მოქალაქე, ნეიტრალიტეტის მომხრე ვარ, მინდა, ჩემი ქვეყანა იყოს დამოუკიდებელი, თვითმყოფადი, ნეიტრალური, ეროვნული ინტერესების გამტარებელი, კულტურისა და ტრადიციების პატივისმცემელი, პირველ რიგში - საკუთარის.

ხსოვნა

შოთა აბაშიძე



ქვეყნის ღირსეულ ადამიანთა რიგებს კიდევ ერთი წევრი გამოაკლდა - გარდაიცვალა ხულოს მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი, ცნობილი სახელმწიფო მოხელე შოთა აბაშიძე.

დაიბადა 1935 წელს ხულოს რაიონის სოფელ კალოთაში, ასლან აბაშიძის მრავალშვილიან ოჯახში. 1953 წელს დამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო კალოთის სკოლაში მასწავლებლად. პერსპექტიულ და საქმისმოყვარე, უმაღლესდამთავრებულ ახალგაზრდას, 1957 წლიდან ხულოს რაიონულ სტრუქტურებში იწვევენ სამუშაოდ. აქედან იწყება მისი სამსახურებრივი კარიერა, რომელიც ნახევარი საუკუნე გაგრძელდა. იყო ხულოს რაიკოოპერატივის თავმჯდომარე, ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე. ხულოს რაიონის მაშინდელი წარმატებები უშუალო კავშირშია ბატონ შოთასა და მისი თაობის ხელმძღვანელებთან. ეს მუშაობა 90-იანი წლების დასაწყისამდე გრძელდებოდა.

არიან ადამიანები, რომლებიც მშობლიური ქვეყნისა და კუთხის ინტერესებს ყველა მოვალეობაზე მაღლა აყენებენ, პირადი წვლილი შეაქვთ დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობაში. ბატონი შოთაც მათ რიგებში იყო. 1993-1995 წლებში, აჭარის მატერიალური რესურსების მინისტრის მოადგილედ მუშაობის პერიოდში, ეს თვისებები კიდევ უფრო ნათლად წარმოჩნდა. ამან განაპირობა 1995 წელს მისი ხულოს რაიონის გამგებლად დანიშვნა. ქვეყნისა და კუთხისთვის ძნელბედობის წლებში მთის რაიონის ეკონომიკის სტაბილურობისა და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებდა. პირადი ავტორიტეტითა და ქვეყნის, რეგიონის პირველი პირების თანადგომით, რიგი პრობლემების დაძლევა შეძლო და თანარაიონელებს თავი ღირსეულ ხელმძღვანელად დაამახსოვრა. ოთხი წელი დაჰყო გამგებლის თანამდებობაზე. 2004 წელს იგი ისევ აირჩიეს ხულოს რაიონის გამგებლად. მინდობილი საქმისადმი ამჯერადაც გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, თანამდებობა სხვას გადაულოცა.

ხულოში მუშაობის წლებში მრავალგზის იყო არჩეული რაიონული საბჭოს დეპუტატად. 1997 ხულოელებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად მის არჩევას. ერთხანს გამგებლისა და ხალხის რჩეულის მოვალეობებს ერთმანეთს უთავსებდა.

მისი მრავალწლიანი, ნაყოფიერი მუშაობა სამთავრობო ჯილდოებით დააფასეს. რამდენიმე წლის წინ „საპატიო ხულოელად“ აირჩიეს.

მისთვის დიდი და პატარა საქმე არ არსებობდა. ნახევარი საუკუნის განმავლობაში, პენსიაზე გასვლამდე, სადაც იმუშავა, ყველგან ავტორიტეტული, პასუხისმგებლიანი, მოსახლეობის ინტერესების დამცველი ხელმძღვანელის სახელი დატოვა. გამორჩეული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას.

უნარიანი ხელმძღვანელი, კარგი მეოჯახე, ღირსეული შვილების გამზრდელი, მოსიყვარულე ბაბუა, ეროვნული ადათ-წესებისა და ოჯახური ტრადიციების დამცველი და ცხოვრებაში გამტარებელი იყო. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ხულოსა და სხალთა-ხიხანის ხეობაში სასიკეთო წამოწყებებს დაედო სათავე. ერთეულებს თუ შეეძლოთ სტუმრის ისე მოფერება, როგორც მას, რაც ცხოვრების წესად ჰქონდა ქცეული.

წავიდა ჩვენგან კაცი, რომლის საქმე და სახელი მაგალითის მიმცემია მომავალი თაობებისთვის. შოთა აბაშიძის ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც მას იცნობდა.

უფალმა ნათელი დაუმკვიდროს!

ხულოს მუნიციპალიტეტის მერია,

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო,

აბაშიძეთა საგვარეულო კავშირი,

მეგობრების ჯგუფი

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ეროვნის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 27/02/23, 20 ³⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

საქართველოს კალათბურთელები პირველად – მსოფლიო ჩემპიონატზე

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

26 თებერვალს ისტორიული ფურცელი ჩაიწერა ქართულ კალათბურთში. ისლანდია-საქართველო - ეს იყო მატჩი, რომელმაც პირველად მოგვცა მსოფლიო თასის საგზური

მატჩი დრამატულად მიმდინარეობდა და, როგორც თამაშის ბოლოს მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზურაბისმა აღნიშნა, საქართველოს ნაკრებმა ბეწვის ხიდზე გაიარა. ბრძოლაში ჩვენი ნაკრები კი დამარცხდა (77:80), მაგრამ ეს ის სხვაობა იყო, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად საკმარისი აღმოჩნდა.

...ოც წელზე ცოტა მეტი გავიდა, რაც ჩვენი საკალათბურთო ნაკრები B დივიზიონიდან A დივიზიონში გადავიდა და მაშინ პირველად ვითამაშეთ ევრობასკეტი. 26 თებერვალს, თამამად შეიძლება ითქვას, ოქროს ისტორია გულშემატკივართან ერთად დაიწერა. ჩვენი გუნდი მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში ჯგუფის სამ საუკეთესოს შორის მოხვდა და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. მსოფლიოს საუკეთესო 32 ნაკრები 8 ოთხგუნდიან ჯგუფში გადანაწილდება, მათგან ორ-ორი საუკეთესო მეორე ჯგუფურ ეტაპზე გადავა, სადაც ოთხ-ოთხგუნდიან ჯგუფში მოხვდება, იქიდან გასული ორ-ორი საუკეთესო გუნდი კი თასისთვის ბრძოლას უკვე პლეი-ოფში გააგრძელებს.

ტურნირის წილისყრა 29 აპრილს შედგება, თუმცა, ცნობილია იმ არჩევანის შესახებ, რომელიც მასპინძელმა ქვეყნებმა უკვე გააკეთეს. მოგეხსენებათ, მასპინძლებს უფლება აქვთ, ჯგუფში თითო მეტოქე ჯერ კიდევ წილისყრამდე დაასახელონ, ამდენად, უკვე ცნობილია, რომ აშშ-ის ნაკრები ფილიპინებში ითამაშებს, სლოვენია - იაპონიაში, ხოლო კანადა - ინდონეზიაში, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, აპრილის ბოლოს ფილიპინების დედაქალაქ მანილაში ჩატარდება წილისყრა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე გასულ 32 ეროვნულ ნაკრებს 8 ჯგუფში გადაანაწილებს, სწორედ ამ დღეს გავიგებთ, ვინ იქნება საქართველოს ნაკრების სამი მეტოქე მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ჯგუფურ ეტაპზე და რომელ ქვეყანაში მოგვიწევს ასპარეზობა - ფილიპინებზე, ინდონეზიასა თუ იაპონიაში.

მსოფლიო ჩემპიონატს 2023 წლის 25 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით, სამი ქვეყანა უმასპინძლებს, ხოლო პლეი-ოფში გასული გუნდები მანილაში შეიკრიბებიან, სადაც მსოფლიო ჩემპიონს გამოავლენენ.

გილოცავთ! მიზანი მიღწეულია - საქართველო მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს. ჩვენმა საკალათბურთო ნაკრებმა ახალი ისტორია დაწერა.

თომა აბაშიძე ევროპის ჩემპიონობისთვის ემზადება

ზიქრია დავლაძე 597 25 25 72

გაიცანით თომა აბაშიძე, საქართველოს ჩემპიონი „ბრძოლა წესების გარეშე“, რომელიც ქობულეთში, სოფელ დაგვაში ცხოვრობს. მას არაერთი ჯილდო აქვს მოპოვებული. ამბობს, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს უცხოელ პარტნიორებთან და ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას იწყებს.

სპორტსმენი გაზეთ „აჭარასთან“ იმ გეგმებსა და მიზნებზე საუბრობს, რომელიც თანასოფლელების წინსვლაზეცაა ორიენტირებული.

- ვარ აჭარიდან, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, წლების განმავლობაში ლაგოდეხში ვცხოვრობდი და ჩემი სპორტული კარიერაც იქ დაიწყო. შემდეგ მშობლიურ აჭარაში დავბრუნდი და ვარჯიში „ბრძოლა წესების გარეშე“ დავიწყე. გვერდით დამიდგა მწვრთნელი რომა აბაშიძე. მისი მხარდაჭერის გარეშე მარტო ვერაფერს შევძლებდი.

- თომა, რამდენი ხანია, ამ სფეროში ხართ?

- ბავშვობიდან მიზიდავს სპორტი, სერიოზულად კი 16 წლის ასაკიდან დავკავდი. დავიწყე კარატეთი, თუმცა ჯგუფი, სადაც ვვარჯიშობდი, დაიშალა, შემდეგ სხვაგან ვცადე, იქაც არაფერი გამოვიდა, მაგრამ არ მოვეშვი და გავაგრძელე ჩემი საყვარელი საქმე. პატარ-პატარა შეჯიბრშიც მივიღე მონაწილეობა და არაერთი წარმატება მოვიპოვე. ჩემთვის მნიშვნელოვანია ვარჯიში, ჯერ არ მახსოვს, დრო ფუჭად გამეტარებინოს. 36 წლის ვარ და ამ დროის განმავლობაში არასოდეს მიფიქრია არჩეული გზიდან გადახვევაზე, ინტერესების შეცვლაზე. მიზანი დავისახე და, იმედია, შევასრულებ.

- და რა არის თქვენი მიზანი?

- სოფელში, სადაც ვცხოვრობ, ბევრია მიგრაციაში, დაკეტილია სახლები, არავინ ფიქრობს დაბრუნებას. გული მწყდება, რომ დაცარიელდა სოფელი, ახალი თაობა გასაქცევს ეძებს, მიდიან იქ, სადაც თავიანთ შესაძლებლობებს გასაქანს მისცემენ და თავის დამკვიდრება არ გაუჭირდებათ. ავიღე პასუხისმგებლობა, ახალ თაობას შევასწავლო სპორტის ეს სახეობა. სხვასაც შეუძლია, რაც იცის, თაობებს გადასცეს. ეს რთული სულაც არ არის, მთავარი მონდომებაა, ამით გადარჩება სოფელი და არასოდეს ჩაირაზება სოფლის კარი.

- სურვილის გარდა, მიზნის განხორციელებაში რა დაგეხმარებათ?

- უნდა გვქონდეს ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდანაც. ამ ეტაპზე ვაპირებ მივმართო ადგილობრივ თვითმმართველობას, სოფელ დაგვას გამგებელს, რომ ხელი შეგვიწყოს ფართის გამოყოფაში, სადაც საჭირო ინვენტარს განვათავსებთ. კეთილმოწყობილი გარემო, კომფორტული სავარჯიშო სივრცე უნდა შევთავაზოთ მოზარდებს. რაც მალე მოვაგვარებთ ამ მნიშვნელოვან დეტალებს, მით უფრო მალე შევუდგები ჩემს საყვარელ საქმიანობას.

- ევროპის ჩემპიონატი ახსენეთ. რა მოლოდინი გაქვთ?

- ვფიქრობ, რომ გავიმარჯვებ და ჩემს კუთხეს ვასახელებ. ამისათვის დღედაღამ ვვარჯიშობ, არ შეიძლება, ჩემმა მცდელობამ უკვალოდ ჩაიაროს. ფსიქოლოგიური მომზადებაც მნიშვნელოვანია ასეთ დროს, ეს მხოლოდ ძალისმიერი სპორტი არაა. მთავარია საკუთარი თავის რწმენა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა გულშემატკივარს, ჩემს პედაგოგს, ოჯახს და ჩემს კუთხეს - აჭარას, მადლობა გადავუხადო იმ დიდი მხარდაჭერისთვის, რასაც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ვგრძნობ. ეს ყველაფერი უდიდეს სტიმულს და გამარჯვების სურვილს მაძლევს.

ოთხი მედალი – ახალგაზრდულ ჩემპიონატზე

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ჩემპიონატები ჩატარდა ჭადრაკში 7, 9, 11, 13 და 15 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის

ტურნირები, რომელიც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა, ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად წარიმართა. სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში 290-მდე მოჭადრაკე მონაწილეობდა, აქედან 16 სპორტსმენი აჭარიდან, მათ შორის, გაბრიელ მჟავანაძე, დაჩი ბალაძე (ორივე 7 წლამდე მოჭადრაკეთა შორის), მარიამ გოგუაძე, საბა სარჯველაძე (9 წლამდე), ანეტა ქედელიძე, რატი დიასამიძე, შოთა დოლიძე, სანდრო გოგუაძე, ნიკოლოზ სარჯველაძე (ყველანი 11 წლამდე), კესარია მგელაძე, მარიამ კალანდაძე, დემეტრე გოგიაშვილი, შოთა ცეცხლაძე (13 წლამდე მოჭადრაკეთა შორის), ლულუ დიასამიძე, გიორგი გოგიაშვილი, გიორგი ჭანტურია (15 წლამდელთა შორის). აჭარის მოჭადრაკეთა მონაგარშია ოთხი მედალი: 1 ოქროს, 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს. 13 წლამდე გოგონათა შორის ოქროს მედალი და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მეექვსედ მოიპოვა ბათუმელმა კესარია მგელაძემ, რომელმაც 9-დან 7,5 ქულა დააგროვა. ამავე კატეგორიაში 9-დან 6 ქულით მესამე ადგილი მარიამ კალანდაძემ დაიკავა. 15 წლამდე გოგონათა შორის, 9-დან 7,5 ქულით, საქართველოს ვიცე-ჩემპიონი გახდა ლულუ დიასამიძე, 11 წლამდე გოგონათა შორის კი ანეტა ქედელიძემ 9-დან 6 ქულა დააგროვა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.